# სარბიელი

საორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 20 ივნისი 1995 № 34 (172) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს — სინი, შაბათს — თასი



20 ივნისი. 19.00. „გუმარი" — „თბილისი"

სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდია. 18.00. 24 ივნისი.

რაგბის მსოფლიო თასის ორგანიზატორებს ნატვრა აუხდათ: ამ შაბათისთვის საოცნებო ფინალი, სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია დაიბევს.

საქმე ისაა, რომ 1920-იანი წლებიდან მოკიდებული, ვიდრე მსოფლიო თასის შემოღებამდე, „ქურციკებსა" და „ოლ ბლექსის" სერიალის გამარჯვებული მიიჩნეოდა მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად. ორივე ქვეყანაში წლობით მოელოდნენ დიდი მეტოქის სტუმრობას, წინა შერკინების გამო შეთხზული ლეგენდები კი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ნორჩებიც მათი მეშვეობით იზრდებოდნენ.

და აი, 24 ივნისს, იოჰანესბურგის „ელის პარკზე" იქაური დროით დღის 3 საათზე კვლავ კვლავ შეიყრებიან აფრიკა და ზელანდია და ან უკვე ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონობას გაითამაშებენ. რაგბზე გადარეული აფრიკანერები მარცხს, და ისიც შინ, ვერ იგუებენ, ამიტომ უფიცხესი ბრძოლაა მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ „ოლ ბლექსს" ჰყავს ზედაც — ჯონა ლომუ და უმისოდაც უეჭველად ჩემპიონატის საუკეთესო გუნდია, 70 ათასი ქომაგის მიერ გავეშებული 15 „ქურციკი" თავდაუზოგავად ეკვეთება ერთიანად შავებში გამოწყობილ და მაორულ საომარ რიტუალ „ჰაკათი" გულმიცემულ 15 სტუმარს და ეცდება, იოჰანესბურგული მაღალმთიანეთი თავისს სასარგებლოდ გამოიყენოს.



ბური მეომრის განსახიერება: „ქურციკთა" კაპიტანი ფრანსუა პინარი

ორი დღით ადრე, პრეტორიის „ლოფტუს ფერსფელდზე", ასევე ძველი მეტოქეები — საფრანგეთი და ინგლისი ისტორიაში პირველად ითამაშებენ ნეიტრალურ მოედანზე. ფრანგებმა საწყენად წააგეს სამხრეთ აფრიკასთან, ინგლისი კი უსიტყვოდ დაანგრია ახალმა ზელანდიამ. მიუხედავად ამისა, აქაც გააფთრებული თამაშია მოსალოდნელი, რადგან ვაჟკაცობისა და თავმოყვარეობის გარდა გუნდებს რეალური საცდურიც ამოძრავებთ: ჩემპიონატის სამ პრიზიორს ხომ 1999 წლის მსოფლიო თასზე შეურჩევლად დაუშვებენ.

მესამე ადგილის მატჩი ხუთშაბათს ჩვენი დროით საღამოს 8 საათზე დაიწყება, ფინალი — შაბათს, საღამოს 6 საათზე. ორივე მატჩი პირდაპირ გადმოსცემს მხოლოდ Star TV. Eurosport-ის მოერთგულე საზოგადოებას ამ თამაშების ჩანაწერების საყურებლად ლამის ორის ნახევრამდე მოუწევთ ცდა.

ამ კვირაში რაგბის ქომაგებს არც ჩვენი მორაგბეები მოაწყენენ. ორივე ჯგუფში სრული ტური გაიმართება, დღეს, სამშაბათს კი ტრადიციულად გათამაშდება „სარბიელის" სინი. მის პირველსა და ჯერჯერობით ერთადერთ მფლობელ „გუმარს" ამ ჯილდოს უკვე მესამედ შეეცილება ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „თბილისი". ეს გამორჩეული თამაში ვაკის სტადიონზე საღამოს 7 საათზე დაიწყება.

# მაშ უნდა გადაგვერჩიეთ?! აპრუწუწუნ! სოკ-ის მეთაურმა უმრავლესობასთან წაიმუშავა

თავიდან ვერ გამართლდა ჩვენი, წინანომრისეული პროგნოზი, მსოფლიო სპორტი XXI საუკუნეში კატალონიელი ხუან-ანტონიო სამარანჩის წინამძღოლობით შეაბიჯებსო.

გაისად ამ ცნობილი პოლიტიკურ მოღვაწეს უთავდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტად ყოფნის მეოთხე ოთხწლიანი ვადა და რადგანაც უკვე 74 წლისა ბრძანდება, ძალიანაც რომ მოესურვა და მოესურვათ, მეხუთე ვადით ოლიმპიური ქარტიის მიხედვით ველარ უნდა აერჩიათ.

სამარანჩმა ბევრი იმუშავა და სოკ-ის 104-ე სესიას, წინა კვირაში ბუდაპეშტში რომ გაიმართა, ერთერთ საკითხად სწორედ რომ სოკ-ის წევრთა ასაკის ზედა ზღვრის შეცვლა-გაუქმება განახილვინა. მსოფლიო სპორტის მამებს ეს პრობლემა დადებითად რომ გადაეჭრათ, სამარანჩის მეხუთედ არჩევას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

თავიდან საქმე ისე აეწყო, კატალონიელს რომ სურდა. ხუთშაბათ საღამოს სხდომა იმით დაიწყო, რომ ხმათა 62-27 შეფარდებით სოკ-ის წევრებმა დაადასტურეს, ჩვენი ასაკის ზღვარი ჭეშმარიტად გადასახედიაო, მაგრამ კენჭისყრის შემდეგ რაუნდშივე აგრძნობინეს სამარანჩს, რომ სხვებსაც სურთ პრეზიდენტობა, ვინაიდან ზღვრის გაუქმება მართოოდენ პრეზიდენტისთვის კი არ სცნეს მიზანშეწონილად, არამედ ყველასათვის.

სამარანჩის კონკურენტებმა მერეც დიდი კულუარული მუშაობა გაშალეს. სხვებზე მეტად კანადელ დიკ პაუნდს უაქტიურია და სოკ-ის რამდენიმე წევრი გადაუბირებია, რაც მაშინღა გაირკვა, ქარტიის სათანადო მუხლის შესაცვლელად რომ ჰყარეს კენჭი: ასაკის შეცვლამ ამჯერად მხოლოდ 57 მხარდამჭერი ჰპოვა, რაც ორი ხმით აღმოჩნდა ნაკლები ხმათა ჯამური რაოდენობის ორ მესამედზე. არადა, ამგვარი უმრავლესობის გარეშე ოლიმპიურ ქარტიაში სასვენი ნიშანი რაა, ისიც ვერ შეიცვლება.

როგორც უცხოური მედია აღნიშნავს, მეტოქეებმა მარჯვედ მოასრიალეს სამარანჩი და სულ ბოლო მომენტში აგრძნობინეს, რომ მისი ზეობა აღარა სურთ. მსოფლიო სპორტის მესაჭემ დემოკრატიის შესანიშნავი მაგალითი ნახაო, აღნიშნა ბი-ბი-სიმ.

თუმცა, სამარანჩი ხუთშაბათისეულ მარცხს ვერ შეეგუა და კვირას, ზედიზედ ექვსი კენჭისყრის შემდეგ თავისი მაინც გაიტანა. ერთი შეხედვით, პარადოქსული რამ მოხდა: თუ სოკ-ის წევრებმა თავიდან უარყვეს წინადადებები, ასაკის ზღვარი 75-დან 78-მდე რომ აეწიათ, სამი დღის ინტენსიური ზეწოლის შემდეგ უეცრად დაადგინეს, რომ უპრიანი იქნება, თუ წევრებად 80 წლამდე დაერჩებითო. ერთი სიტყვით, სამარანჩის პრეზიდენტად არჩევა კიდევ მოხერხდება, მაგრამ ამ ცბიერ პოლიტიკოსს განუცხადებია, ამ ბოლო ამბების შემდეგ ჯერაც ვერ გადამიწყვეტია, ჩემი კანდიდატურა კიდევ წამოვაყენო თუ არაო.



პარასკევს არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი გაირჩა. 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლოდ ოთხ, სოკ-ის მიერ წინდაწინ არჩეულ ქალაქსლა ჰქონდა პრეტენზია: სოლთ-ლეიქ-სითის (აშშ), ოსტერსუნდს (შვედეთი), სიონს (შვეიცარია) და კვებეკს (კანადა). ამ კენჭისყრაშიც 89 კაცი ჩაება და საქმეც პირველსავე წრეში დასრულდა — სოლთ-ლეიქ-სითიმ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა (54) ერთბაშად მიიღო. შვედეთისა და შვეიცარიის კანდიდატებს 14-14 მომხრე დაუგროვდათ, კანადისას კი — 7.

სოკელთა არჩევანი დიდად განუსაზღვრავს სოლთ-ლეიქ-სითის პრეზენტაციას. ამერიკელებს პრეზიდენტ ქლინთონის ვიდეო-ინტერვიუც უჩვენებიათ, სადაც მესაქსაფონე ბილს უთქვამს, იუტას შტატი, ზამთრის ოლიმპიადას რომ ეპატიჟება, ჩემთვის იმიითაა ცნობილი, რომ იქაურებმა გართობა-დროსტარების ყადრი იციან და სტუმრებს თავის დიდებულ მხარეს დააგემოვნებინებენო.

ძნელია ეჭვი შეგეპაროს ეგზომ პატივცემული მოღვაწის სიტყვებში, მაგრამ ისიც ხომ კარგადაა ცნობილი, რომ იუტა ამერიკელ მორმონთა ცენტრია, ამ მრწამსის ხალხი კი საერთოდ არ სვამს; სამაგიეროდ — ალვირახსნილად ცხოვრობს. ამგვარ საქციელში იუტელმა მასპინძლებმა შეიძლება მართლაც აიყოლიონ სტუმრები, მაგრამ ვეჭვობთ, კმაყოფილნი დარჩნენ სასმელის მწარმოებელი სპონსორები, რომლებსაც თავიანთი ნაწარმის თამაშებზე გასაღება გაუჭირდებათ. ისიც შევნიშნოთ, რომ სოლთ-ლეიქ-სითის უსიტყვო გამარჯვებას ბევრით შესწევია ის, რომ მას ყველა სპორტული ბაზა უკვე აშენებული ჰქონია.

რეზო ნემსაძე

# ფეხბურთი გატანჯული ხალხისთვის

14 ივნისს სენაკში თამაშამდე ორიოდ საათით ადრე ჩავედი. დროის მოსაკლავად ქალაქში გავიარე. ერთ წელზე მეტი გავიდა სამოქალაქო ომის დამთავრებიდან, მაგრამ მისი კვალი ჯერაც ეტყობა აქაურობას: ერთ დროს ძალზე მხიარულ ქალაქს ნაღვლიანი იერი დაჰკრავს, სადღაა ცხოვრების ჩვეული ხალისი. აკი გავიფიქრე კიდეც, ხალხს, აბა, რა უნდა ეფეხბურთებოდეს-მეთქი, მაგრამ მერე და მერე ისიც შევნიშნე, რომ იმ დღეს სენაკელები რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში იყვნენ. მიზეზი! აქაური საფეხბურთო კლუბი „ეგრისი" მეორე ჯგუფის დასავლეთის ზონის ბოლო კალენდარულ მატჩში ხონის „იმერეთს" მასპინძლობდა...

თამაში რომ სანახაობრივად დიდი ვერაფერი შვილი გამოდგა, იმის ბრალი იყო, რომ სენაკელებს წინა ტურში გაენაღდებინათ ჩემპიონობა, ხონელებს კი წაგებაც არ ატოვებინებდა მეორე ჯგუფს. ტრიბუნები მხოლოდ ორჯერ გამოცოცხლდა: პირველად მაშინ, როცა მსაჯმა გინებისთვის მინდვრიდან „მიაბრძანა" ხონელი უგრეხელიძე, მეორედ კი, როცა სენაკელთა ლამაზი კომბინაციის შემდეგ სტუმართა მანამდე ჩინებული მოთამაშე 17 წლის მეკარე ბენიძემ თერთმეტმეტრიანი „აიკიდა" და შალამბერიძეს გატანა არ გასჭირვებია. მალე თამაშიც მორჩა და მაყურებელმაც ყიჟინა მორთო — „ეგრისმა" მოიგო, ამ ჯგუფში ყველას აჯობა და პირველში გადავიდა. ფეხბურთელებმა მილოცვები მიიღეს და მხიარულად გასწიეს გასახდელისაკენ — ვალმოხდილებს, უკვე პირველჯგუფელებს ხომ ბანკეტი ელოდათ... ლოჟას რომ ავხედე, ძველი დრო გამახსენდა: თამაშს ესწრებოდა რაიონის გამგებელი ტარიელ დგებუაძე, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში გივი ლომინაძე და სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ როგავა. ისინი თურმე ხშირად ესწრებიან თამაშებს, მოთამაშეებისთვისაც მათი სტუმრობა, ცხადია, დიდი სტიმულია. ერთი სიტყვით, იმ დღეს სენაკი ზეიმობდა, ყველაზე გასახარი კი ის იყო, რომ საათნახევრიანმა ბურთაობამ გატანჯულ ხალხს მრავალი საფიქრალი და სადარდებელი ცოტა ხნით მაინც გადაავიწყა...

სენაკის „ეგრისის" პრეზიდენტი, 29 წლის კახა რუსია მეცხრე კლასიდან თამაშობდა „ეგრისში", შემდეგ სოხუმის „სუბტროპიკშიც" გამოდიოდა. ოცი წლისა ზემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს და ფეხბურთსაც შეეშვა. 1992 წლიდან სენაკის ხალიჩების კომბინატის დირექტორია. მაშინ გადაუწყვეტია სწორედ, კომბინატი სპონსორობას გაუწევს სტადიონსაც და გუნდსაცო...

— შარშან გადასასვლელ მატჩში „დურუჯთან" 0:1 დავმარცხდით, წელს კი ხელი ვერავინ შეგვიშალა. მართალია, „ეგრისი" მეორე ჯგუფის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ასეთი თამაშით პირველში ბევრს ვერაფერს გახდები. „ეგრისმა" წელს ღირსეულად გაიმარჯვა ჯგუფში და არა მაქვს მორალური უფლება, რომელიმე მოთამაშე გუნდიდან გავუშვა, თანაც ისინი ხომ, ფაქტიურად, უმწვრთნელოდ ვარჯიშობდნენ, ჩემი და გუნდის მეორე მწვრთნელის, გურამ ჩიქობავას ხელმძღვანელობით — ეს იმიტომ, რომ მთავარი მწვრთნელი გულიკო ოდიშარია შარშან მოულოდნელად გარდაიცვალა და პრაქტიკულად ყველა ფეხბურთელი ინდივიდუალურად მოემზადა.

**— პირველ ჯგუფში გადაუდებელ მიზნად რას ისახავთ?**

| საქართველოს ჩემპიონატი<br>მეორე ჯგუფი. დასავლეთი |
|---|
| **ეგრისი 1:0 იმერეთი** |
| „ეგრისი" სენაკი: ბულია, ზ. ხევსურიანი (გოგუა 46), ახალაია, ბენდელიანი, ჩხიკვაძე, ნოდია, შალამბერიძე, ბუკია, უშვერიძე, თვარაძე (ჯ. ხევსურიანი 46), თორია. |
| „იმერეთი" ხონი: ბენიძე, უგრეხელიძე, ბარაბაძე, სულაბერიძე, ჭელიძე, ციბაძე, მოსეშვილი, ქომეთიანი, ცაგარეიშვილი, ვაშაკიძე, უგულავა. |
| 1:0 შალამბერიძე (76) |
| გაძევება: უგრეხელიძე |
| მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) |



„ეგრისის" პრეზიდენტი კახა რუსია

— ათეულში მოხვედრას ვგეგმავთ, ამასთან, ახალგაზრდა ფეხბურთელების ძირითადში დამკვიდრებაც უნდა მოვახერხოთ. ჩვენ ხომ ბავშვთა გუნდიც გვყავს და ისინი, სხვათა შორის, თანატოლთა საქართველოს პირველობაზე ლიდერთა შორის არიან.

**— მთავარი მწვრთნელი რატომ არ მოიწვიეთ?**

— ბატონ გულიკო ოდიშარიას სიკვდილის შემდეგ დავიფიცე, რომ მთავარ მწვრთნელს მანამდე არ მოვიწვევდი, სანამ პირველ ჯგუფში არ გადავიყვანდი გუნდს. მე ჩემი სიტყვა შევასრულე, თანაც, ხუმრობა იქით იყოს და, სამსახურიდან რომც წამოვიდე, იმის იმედი მაინც მაქვს, რომ გუნდთან ყოფნისას ბევრი რამე ვისწავლე და მწვრთნელად მაინც ვიმუშავებ...

**— საპირველჯგუფოდ ვისით აპირებთ გუნდის გაძლიერებას?**

— ისევ სენაკელი ფეხბურთელების დამატება გვსურს, პირველ რიგში გიორგი დარასელიასი, რომელიც ფოთის „კოლხეთში" თამაშობს და იური გაბისკირიასი, შეპეტოვკის „ტემპში" რომ გამოდის. იური დღე-დღეზე უნდა ჩამოვიდეს, ჩემი ნათესავია, ალბათ არ დამალალატებს და ჩვენთან დარჩება. მამუკა რუსიას ჩამოყვანაც მინდა უკრაინიდან, სხვათა შორის, ჩვენთან ირიცხებოდა გუნდში, მაგრამ არ მიკადრებია, გადასვლისას რაიმე პრობლემა შემექმნა მისთვის, ახლა კი გვჭირდება და უნდა დაბრუნდეს. ჩხოროწყუს „სამეგრელოდან" ქვილითაიასაც დავიმატებთ, მწვრთნელის საკითხი კი ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

**— გუნდს ბაზა თუ აქვს, ანაც პირველჯგუფელი სტუმრების მისაღებად ნორმალური სასტუმრო თუა ქალაქში?**

— ამჟამად სენაკის სასტუმროში ლტოლვილები ცხოვრობენ და არც გუნდის ბაზაა საკადრისი დონისა, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ჩვენი ადათ-წესები არ გვალალატებინებენ სტუმარ-მასპინძლობის კანონს. სტადიონიც მისახედია. ჯერ კიდევ შარშანწინ ვაპირებდით კაპიტალურ რემონტს, მაგრამ სამოქალაქო ომმა შეგვიშალა ხელი. აი, ამ მინდორს და ტირბუნებსაც 11 ჭურვი მოხვდა. გარწმუნებთ, მთელი რაიონი ფეხზე დადგება და სტადიონს ისეთს გავაკეთებთ, ერთ-ერთი საუკეთესო, რომ იყოს საქართველოში.

**— რა თქმა უნდა, იმაზეც იფიქრებდით, მომავალი სეზონიდან მომატებულ ხარჯებს როგორ აუხვიდეთ...**

— კლუბს ორი ავტობუსი ჰყავს, რაც შეეხება ფეხბურთელთა ანაზღაურებას, ცოტ-ცოტას გვეხმარება რაიონი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სანამ ხალიჩების კომბინატი იმუშავებს და მე აქ ვიქნები, გუნდს ასე თუ ისე ფინანსურად, რას გავუჭირვებ.

**— ახალგაზრდა კაცი, თანაც, რომ იტყვიან, კარგ საქმეში ჩამდგარი, რატომ და რისი იმედით შეეჭიდეთ საფეხბურთო საქმეებს?**

— გუნდში იმიტომ მოვედი, რომ სენაკში ფეხბურთი არ მომკვდარიყო, დღეს კი უკვე პირველ ჯგუფში ვართ. აქამდე ძირითადად მეზობელ რაიონებში გვიწევდა თამაში, სადაც ყველა ისედაც კარგად გიცნობს, ახლა კი მთელ ამერ-იმერ საქართველოს უნდა ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია. მარტო თამაშს და ქულებს სულაც არ ვგულისხმობ — ჩვენებური სტუმართმოყვარეობის პეწი, სითბო და სიყვარული, ჩემი აზრით, ბევრ რამეზე უმთავრესია. დღეს ამაზე დიდი პასუხისმგებლობა ჩემთვის არ არსებობს.

**— ტრიბუნაზე შევნიშნე თანამდებობის არაერთი პირი, რომლებიც სენაკელთა მიერ სახლებიდან მოტანილ სკამებზე ისხდნენ, იმედია, „ამა ქვეყნის ძლიერნი" მარტო მორალურ დახმარებას არ სჯერდებიან...**

— ჩვენს რაიონს ახლა ძალიან უჭირს, სენაკი ომგადახდილი ქალაქია, ამჟამად აღორძინების დრო უდგება. სახელმწიფო მინისტრი, გამგებელი, რაიონის ხელმძღვანელობა კი გვეხმარება, მაგრამ ჯერჯერობით მათ თანხები არ გააჩნიათ და მათი თანადგომა ძირითადად მორალურ-ფსიქოლოგიურია. როგორც ძველად, ისინი ესწრებიან გუნდის ვარჯიშებს, ამხნევებენ ბიჭებს, თამაშებზეც დაგვყვებიან, ასე რომ, ძალიან მადლიერები ვართ მათი. მოვა დრო, ჭრილობები მოშუშდება, მერე და მერე რაიონიც მოღონიერდება და ვინ იცის, „სენაკმა" იქნებ პირველი ჯგუფის ათეულში მოხვედრაც არ იკმაროს.

**P.S.** ზემოთ ძველი დრო ვახსენე. ჟურნალისტის რაიონში ჩასვლა მუდამ საგანგებო მოვლენა იყო ხოლმე. ამჯერად მასპინძლობა ახალგაზრდობის დეპარტამენტის სენაკელმა მუშაკებმა: ირაკლი ბესელიამ, ბადრიმ და მამუკამ გამიწიეს, რომელთა გვარებიც კი არ ვიცი, მაგრამ ეს არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ ეს ახალგაზრდები მამა-პაპათა ტრადიციებს ერთგულად მისდევენ და ფეხბურთზეც გადაგებულები არიან. ეს ყველაფერი კი თბილისისკენ მომავალს იმედს მმატებდა.

მამუკა კვანტალიანი
სენაკი — თბილისი

„სარბიელის" ბოლო ნომრებში 77-78 წლებში დაბადებულ ჭაბუკებზე არაერთი წერილი დაიბეჭდა. ეს არც არის გასაკვირი: ამ ასაკის ბიჭები ხომ დღეს არა, ხვალ პირველი თუ მეორე ჯგუფების გუნდებში უნდა მოვიდნენ. არადა, ისე ჩანს, და რაც მთავარია, სპეციალისტებიც და მწვრთნელებიც ამას ამტკიცებენ, რომ ასეთი ნიჭიერი თაობა კარგა ხანია არ მოგვსვლია.

დასტურად ამ ასაკში საქართველოს ჩემპიონატის ფინალიც კმარა: „დინამოსა" (მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე) და „ავაზას" (ბონდო კაკუბავა) შეხვედრამ მართლაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს, სხვათა შორის, იმაზე მეტს, ჩვეულებრივ რომ სტუმრობს ხოლმე ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს...

ფინალის მონაწილეთა შემადგენლობებზე თვალის გადავლებაც კი „დინამოს" უდავო უპირატესობას გვაფიქრებინებდა.



მიხეილ მესხი

# მიხეილ მესხი... «დინამოს» წინააღმდეგ

თავად განსაჯეთ: ალექსანდრე იაშვილი ლამის ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, „დინამოს" ძირითადში თამაშში არც დავით მუჯირისა და მიხეილ ასათიანისთვის გახლავთ უცხო ხილი. ესენი რომ ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ და „სამტრედიასთან" ჭიდაობდნენ, ავაზელები იმხანად მეორე ჯგუფში დასარჩენად ღვრიდნენ ოფლს. მაგრამ ფეხბურთში ხომ არცთუ იშვიათია, როცა გოლიათად მიჩნეულს თავისი დავითი გამოუჩნდება ხოლმე...

ავაზელ მიხეილ მესხის გოლი დინამოელმა იაშვილმა გაქვითა. ჭანკოტაძემ კვლავ დააწინაურა „ავაზა", მაგრამ ასათიანმა ისევ გააყაიმა. მატჩის მიწურული კი მეტად დრამატული გამოდგა: ბოლო წუთზე მესხმა პირდაპირ კუთხურიდან ჩახვია ბურთი კარში და „ავაზას" გამარჯვებაც რაღა საეჭვო იყო, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში იაშვილის დარტყმა ხელით მოიგერია ავაზელმა მცველმა. ასათიანმა აუღელვებლად დაარტყა, ჩაჩიბაია ლამის იყო, მისწვდა ბურთს, მაგრამ. მხოლოდ ლამის — 3:3. ამან, ეტყობა, ასათიანზე მაინც იმოქმედა და პენალტების სერიაში პირველივე დარტყმა ჩაჩიბაიამ აუღო, ვერც დინამოელმა თალაკვაძემ შეძლო მისი მოტყუება, ავაზელებმა კი (მესხი, ჭანკოტაძე, ქუთათელაძე) ზუსტად დაარტყეს, გამარჯვების პენალტი კი თავად მეკარე ჩაჩიბაიამ გაიტანა 4:2.

საქართველოს 94-95 წლების ჭაბუკთა ჩემპიონმა ამ შემადგენლობით ჩაატარა ტურნირი: ჩაჩიბაია, ჭანკოტაძე, ლომსაძე, კვიციანი, ჩიტაური, მამედოვი, ყიფიანი, მეტრეველი, მესხი, ქუთათელაძე, ნოდარიძე, მაისურაძე, ქებაძე, ზამბახიძე. გუნდის მწვრთნელმა ამ ჩემპიონატშიც და მეორე ლიგაშიც, ოჩამჩირელმა ბონდო კაკუბავამ მითხრა, რომ ასეთ ნიჭიერ თაობასთან იშვიათად უმუშავია. გუნდი მომავალში ალბათ დაიშლება, რადგან ფეხბურთელების უმეტესობა სკოლას ამთავრებს და სხვადასხვა კლუბებში წავლენ, მაგრამ იქ სკამზე ჯდომას ისა სჯობს, ერთ გუნდში იყვნენ... კარგი იქნებოდა, თუ ფედერაცია კვლავაც II ჯგუფში ასპარეზებს „ავაზას". კაკუბავამ ისიც მითხრა, რომ მწვრთნელისგან უხერხულია გამარჯვებული გუნდიდან ვინმეს გამოყოფა, მაგრამ მართალი არ ვიქნები, მეკარე ჩაჩიბაია, განსაკუთრებით კი მიხეილ მესხი რომ არ გამოვყო.

მიხეილ მესხი მართლაც იმსახურებდა გამორჩევას: თუ პირველ ტაიმში მარჯვენა ფრთაზე და თანაც ერთობ აქტიურად იმოქმედა, მეორეში მინდვრის ყველა მონაკვეთში ნახავდით, გოლები ხომ თამაშიდანაც გაიტანა, კუთხურიდანაც და პენალტითაც. მეც არ გავუშვი შანსი და აი, 17 წლის მიშა მესხის კარიერაში პირველი ინტერვიუ...

— კუთხურს რომ ვაწოდებდი, შევამჩნიე, მეკარე გაბელიას არასწორი პოზიცია ეკავა და ჩახვევაც ამიტომ გადავწყვიტე. გოლის მერე წამები კი რჩებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, „დინამო" მაინც გაგვიტანდა. პენალტების სერიაში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით.

**— შენი გვარ-სახელი ინტერესსაც იწვევს და ბევრსაც გავალებს...**

— დიდი მიშა მესხის მხოლოდ მოგვარე და სეხნია ვარ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ მძლუდავს, შევეცდები, არც თავი შევირცხვინო, არც გვარი და არც სახელი და იქნებ ტრიბუნებიდან მეც დამიძახონ, „მოდი, მიშა!"

მამუკა კვარაცხელია
მისივე ფოტო

# მრეტები გერმანიაში „ზამთრობენ"



დავით ჯანელიძე და ვახტანგ იაგორაშვილი

**„მრეტები" საქართველოს პირველობაზე მეორე ჯგუფში დასარჩენად იბრძვიან, სამი მრეტი კი მეორე ბუნდესლიგაში გადასვლაში ეხმარებოდა ოდესღაც სახელმოხვეჭილ ბრაუნშვაიგის „აინტრახტს". აქაურმა მრეტებმა პრობლემა გადაჭრეს, „გერმანელებმა" კი ვერა — VI ადგილზე გავიდნენ. ასეთ დროს ლეგიონერის გუნდში დარჩენა სათუო ხდება.**

— ვახტანგ იაგორაშვილს აქეთ სთავაზობენ, არსად წახვიდე, მომავალ სეზონშიც ჩვენთან იყავიო — მიყვება მეკარე დათო ჯანელიძე — ჩემსა და ალექსანდრე გელაძის მიმართ კი ასეთი ყურადღება არ გამოუჩენიათ, ასე რომ, ორივეს სხვაგან წასვლა მოგვიწევს. ივნისის ბოლოს გაირკვევა — სად, მანამდე კი გერმანიაში მყოფი ვაჟა ჩხაიძე იზრუნებს ამაზე...

**— იაგორაშვილით ასე რატომ დაინტერესდნენ?**

— ვახო თავიდან თვალში არ მოუვიდათ, მაგრამ სათადარიგოში ისე ითამაშა, უმალ ძირითადში დააყენეს. ამ დღეებში გუნდთან ერთად უნდა წასულიყო ესპანეთში.

**— [illegible] გუნდი ერიდებოდა, მითუმეტეს, ქვედა დივიზიონში...**

— კლუბში ვაჟა ჩხაიძის რეკომენდაციით განსაჯეს, არ ვიცი, მოვეწონე თუ რა იყო, მაგრამ ორი გერმანელი მეკარიდან მწვრთნელმა ერთი უმალ მინდვრის მოთამაშედ გაამწესა. ასე, მოვხვდი ძირითადში.

**— გელაძეს რატომ არ იტოვებენ?**

— მას იმავე დივიზიონში რამდენიმე გუნდი ეპატიჟება, რაკილა თავდასხმაში თამაშობს და გოლებიც გააქვს.

**— თქვენს დივიზიონში უცხოელთა რაოდენობა შეუზღუდავია. სხვებიც თუ იყვნენ?**

— ჩვენს გარდა ერთი თურქი თამაშობდა, ერთიც პოლონელი. რუსი ფოკინი რატომღაც ძალზე ცივად დაგვხვდა, ვიქტორ პასულკო კი თან გადაგვყვა, სანამ იქაურობას შევეგუებოდით, მამასავით სულ თან დაგვყვებოდა.

**— ქალაქში ფეხბურთი კვლავაც ძველებურად უყვართ თუ...**

— ჩვენი „შტატდიშერშტადიონი" 40 000 კაცს იტევს და თითქმის მუდამ სავსე იყო. რამდენიმე ათასიანი ფან-კლუბი გვყავს, ესენი სტუმრადაც თან მოგვყვებიან და ისე გვქომაგობენ, ბრაზილიაში რომ განახავს. კლუბის პრეზიდენტს, ტენცერს, რომელიც ფიფას ერთ-ერთი კომისიის წევრია, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რაც უნდა დაუჯდეს, გაისად მეორე ბუნდესლიგის საგზური მოიპოვოს.

**— სულ მინდოდა მეკითხა: რამ აგიკანკალათ მუხლები ოლიმპიელებს ულსთან და გერმანიაში?**

— შენ რეგიონალ ლიგაში თამაშობ, ცეკლერი, ნერლინგერი და ბრაიტენრაიტერი კი — ბუნდესლიგაში. აქ საქართველოში კი არ გიცნობს ხეირიანად, იმათ კი ჩემპიონთა ლიგაში გააქვთ გოლები, დანარჩენი დასკვნებიც თავად გამოიტანე...

**— ვაჟა ჩხაიძე კიდევ დიდხანს დარჩება გერმანიაში?**

— მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „მრეტების" აღორძინება და გერმანიაში ამის საფუძველს ამზადებს. თუ ვივარგეთ და ზედა ლიგებსაც „შევწვდით", ჩვენთვისაც კარგი იქნება, „მრეტებისთვისაც" და ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც.

მამუკა კვარაცხელია

# გერმანია

## ჩემპიონი წინასწარ სცოდნიათ?

XXXIV ტური. 17 ივნისი. გერმანიის ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში წყდებოდა. „ვერდერი" მიუნხენში „ბაიერნს" ეთამაშებოდა და თუ მოიგებდა, დორტმუნდის „ბორუსია" რაც უნდა ექნა, ვეღარ დაეწეოდა. ოტო რეჰაგელის გუნდი დამარცხდა, „დორტმუნდმა" მოიგო და ტიტულსაც დაეუფლა. გერმანიის საფეხბურთო კავშირში ამგვარ ფინალს, ეტყობა, წინასწარ ელოდნენ: საჩემპიონო ლანგარი, რომელიც მანამდე მიუნხენში იმყოფებოდა, წინასწარ მაინცდამაინც დორტმუნდში გაუგზავნიათ და მატჩის დამთავრებისთანავე თავის ახალ პატრონს ჩააბარეს კიდეც.

„ბაიერნს" კი „ვერდერთან" მოგებამ სახელის მეტი ვერაფერი მოუტანა. შარშანდელი ჩემპიონი მეექვსე ადგილზე დარჩა და უეფას თასზე პირდაპირ მხოლოდ მაშინ გავა, თუ ქვეყნის თასს მიონხენგლაბდახის „ბორუსია" მოიპოვებს, თუ არა და, სხვა სამ გუნდთან ერთად „ინტერტოტოს" თასიდან შეეცდება იქ გაღწევას.

### დორტმუნდი 2:0 ჰამბურგი

თავიდან „ჰამბურგმა" შეუტია, მარცხნიდან წამოწყებული იერიში თერთმეტმეტრიანის მიდამოებიდან ივანაუსკასს თითქოს მინიმუმ სახიფათო დარტყმით უნდა დაესრულებინა, მაგრამ ლიტველმა მოქნეული ფეხი ბურთს ააცილა, რითაც გერმანელი კომენტატორი დიდად გაამხიარულა. შემდეგ ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და მე-8 წუთამდე ორჯერ დააფრთხეს კიდეც ჰამბურგელები, მე-8 წუთზე კი გოლი გავიდა. მსაჯმა სტუმართა კარისკენ გაუგებარი ჯარიმა დანიშნა, როგორც ჩანს ჩაწოლით, სუფთადართმეული ბურთი ხელით ართმეულად მოეჩვენა. ანდი მიოლერმა მთელი მატჩი ჩინებულად რომ ჩაატარა ცოცხალ კედელს გარე მხრიდან დაბალი დარტყმით ვირტუოზულად შემოატარა 1:0. „ჰამბურგმა" მდგომარეობის გამოსწორება სცადა. ჯერ მათიას ზამერს საშიშროების განმუხტვა ბარძაყზე ივანაუსკასის ნატერფალად დაუჯდა, შემდეგ კი ყოფილი საბჭოელი ორ მცველს გაუძვრა, მაგრამ ერთ-ერთის ფეხს წემოედო და შეტევა ვეღარ გააგრძელა. მსაჯმა ეს მომენტი ჩასტვენის ღირსად არ ჩათვალა. მასპინძლებმა რომ შეხედეს მეტოქე ცუდად გაგვიაქტიურდაო 28-ე წუთზე მარჯვნიდან შეტევა წამოიწყეს, შტეფან როიტერმა ნახევარი მინდორი ჩაირბინა და საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც რიკენმა თავით ლამაზად დაარტყა და ანგარიში საბოლოო გახადა.

### ბაიერნი 3:1 ვერდერი

მიუნხენში ჩასულ ბრემენელებს ჟურნალისტები შემოეხვიენ, რომელთა ინტერესის საგანი, გარდა ტიტულისთვის მებრძოლი გუნდისა მათი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი გახლდათ. რეჰაგელი მომავალი სეზონიდან ხომ „ბაიერნს" ჩაუდგება სათავეში. მატჩის წინ კი ყვავილებითა და ხვევნა-კოცნით ბეკენბაუერმა და მისმა ამალამ ჯოვანი ტრაპატონის გადაუხადეს მადლობა ერთწლიანი ჯაფისთვის — „ვერდერთან" მატჩი მისთვის მიუნხენში ბოლო იყო. თამაში მე-14 წუთამდე საინტერესოდ მიმდინარეობდა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული არ მომხდარა. მე-14 წუთზე მეჰმედ შოლმა ჯარიმიდან ბურთი ორკაციან ცოცხალ კედელს გადაატარა და პენალტის ნიშნულთან ჩაჰკიდა, სადაც კრისტიან ციგემ ყველას აჯობა და თაურით ანგარიში გახსნა. „ვერდერი" რომლისთვისაც გამარჯვება ჩემპიონობას ნიშნავდა გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურდა კუთხურ-ჯარიმებიდან მეკარე ოლივერ კანი, რომელიც ამ მატჩში წითელ ქუდს ხან იხურავდა და ხანაც იხდიდა რამდენჯერმე შეაწუხა კიდეც, მაგრამ თავადაც ძლიერ გაუმართლა, როდესაც დიდებულად მოთამაშე მეჰმედ შოლის პასით შექმნილ ხიფათს გადაურჩა. 39-ე წუთზე დაჟინებამ თავისი ქნა, თუმცა აქ დაჟინება და მსაჯი თანამზრახველნი გამოდგნენ. ბასლერმა პენალტი კი კარგად შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ამ პენალტის დანიშვნის მიზეზი ალბათ მხოლოდ რეფერიმ უწყის. ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე თომას ჰელმერმა კვლავ შოლს მიაწოდა, რომელმაც საჯარიმოში დრიბლინგი და დარტყმა სცადა მაგრამ მცველებმა არ დაანებეს და ბურთი ალექსანდრ ციკლერს მიუვიდა. ციკლერის „ცხრიანში" დარტყმული უზადო იყო, „ბაიერნი" კვლავ დაწინაურდა 2:1. მეორე ტაიმმა ორმხრივ შეტევებსა და სახიფათო მომენტებში ჩაიარა. მიუნხენელთაგან ან შოლი არტყამდა ანაც მისი პასით ხელსაყრელ პოზიციაში გაყვანილი თანაგუნდელი, ბრემენელთაგან კი ძირითადად მარიო ბასლერის დიდებული თამაში იპყრობდა ყურადღებას. 78-ე წუთზე კვლავ შოლისა და ციკლერის დუეტმა იმარჯვა, პირველმა ჩააწოდა მეორემ კი თავით კვლავ ულამაზესი გოლი გაიტანა.

### შალკე 1:2 ფრაიბურგი

შეხვედრაში ოსტატობის გარდა უხეში შეცდომებიც თვალშისაცემი იყო. თავიდან შალკეს მეკარემ და მცველებმა ელემენტარულ მდგომარეობას ზედიზედ ორჯერ ვერ გაართვეს თავი და კინაღამ დაისაჯნენ. პირველი გოლი მაინც მასპინძლებმა გაიტანეს. პერეირამ თავი 39-ე წუთზე გამოიჩინა, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე შპისმა გაუჩერებლად, უხერხული პოზიციიდან დარტყმულით წონასწორობა აღადგინა. თამაშს ეტყობოდა, „ფრაიბურგის" მოსაგები იყო. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ლიდერი არგენტინელი რუდოლფო კარდოსო ტრიბუნაზე იჯდა. საბოლოოდ ასეც მოხდა, 89-ე წუთზე ორ პირისპირ გასულ ფრაიბურგელს მეკარესთან და დაგვიანებულ მცველთან ურთიერთობის გარკვევა არ გასჭირვებიათ და ჰაიდენრაიჰმა ბურთი კარში მშვიდად შეაგორა.

### კაიზერი 3:1 კიოლნი

„კიოლნს" ისეთი ელემენტარული მდგომარეობიდან ვერ გაჰქონდა გოლები, რომ ყველას პირი დაალებინა. ჯერ პოლსტერმა თავით ერთი მეტრიდან ვერ შეაგდო, შემდეგ ლაბადიამ ორჯერ ჩაიდინა „საქმენი საკვირველი". ერთადერთი 57-ე წუთზე იანსენმა ივარგა, მაგრამ მაშინ უკვე 2:0 აგებდნენ. მასპინძლებმა კი პირველად მე-15 წუთზე იზეიმეს, ანგარიში ჰაბერმა გახსნა, შემდეგ კი კუნცის ერა დაიწყო. მან 53-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა, რასაც ერთი აცილებული და ერთიც ოფსაიდიდან გატანილი მოაყოლა, მაგრამ 86-ე წუთზე შეცდომა აღარ დაუშვა და საქმეც მოათავა.

### ლევერკუზენი 2:2 დინამო

მასპინძლები ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ჰონეკერის ყოფილმა ფავორიტებმა ორჯერვე გაათანაბრეს ანგარიში. მე-6 წუთზე ჰაპალის გატანილს 52-ზე ფუხმა უპასუხა, 77-ზე კირსტენის გატანილს კი 89-ზე შპისმა.

### შტუტგარტი 3:1 დუისბურგი

„დუისბურგი" იმთავითვე განწირული იყო და მასპინძლებს დიდი ჯაფა არ დადგომიათ. 27-ე წუთზე ბოხტლერმა ანგარიში გახსნა. ეს გოლი ბუნდესლიგაში მისთვის პირველი იყო. შემდეგ ელბერმა ორჯერ 51-ე და 53-ე წუთებზე იყოჩაღა და ანგარიში სამამდე გაზარდა. გატანილი გოლის გარეშე მოედნის დატოვებისგან სტუმრები 69-ე წუთზე ასუზიმ იხსნა.

### აინტრახტი 3:1 მიუნხენი

არცთუ დაძაბული შეხვედრის მოგება „აინტრახტს" არ გასჭირვებია. მიუნხენელ დოვეს მე-10 წუთზე საკუთარ კარში ჩაეჭრა ბურთი. 40-ე წუთზე ოკოჩამ ჯარიმა დაარტყა. ბურთი ცოცხალი კედლის განაპირა მცველს მოხვდა და თუმც მეკარემ მიმართულება გამოიცნო ძელიდან ასხლეტილი ბადეში გაეხვა. 46-ე წუთზე სტუმრებმა მასპინძელ მცველთა შეცდომებით ისარგებლეს და ვინკლერმა სხვაობა შეამცირა, მაგრამ 53-ზე ოკოჩას პასით ბეკერმა მესამე შეაგდო. ერთადერთი გაუგებარი ის იყო, რომ მატჩის დაწყებამდე და შესვენებაზე ვიღაც ქალი ფეხბურთელებს ყურში რაღაც ნემსს ურჭობდა, რასაც მოთამაშეები სულაც არ აპროტესტებდნენ.

### ურდინგენი 3:2 გლადბახი

„ურდინგენს" ერთი ქულაც რომ აელო, ბოხუმისთვის" მიუღწეველი ხდებოდა და ბუნდესლიგაში ადგილს ინარჩუნებდა. საამისოდ გარჯა მასპინძლებმა 18-ე წუთიდან დაიწყეს. ანგარიში ვადაუმ გახსნა. 39-ზე შტეფენმა ანგარიში პენალტით ორამდე გაზარდა. 46 წუთზე პენალტითვე ჰაიკო ჰერლიხმა სხვაობა შეამცირა. 57-ე წუთზე პეშკემ სხვაობა კვლავ გაზარდა, მაგრამ ვინოფის დარტყმა (57 წთ) მასპინძელთა მცველს მოხვდა და კარში გავიდა. საბოლოოდ „ურდინგენმა" არათუ ფრე ითამაშა, არამედ მოიგო და ყველა პრობლემაც გადაჭრა.

### კარლსრუე 2:2 ბოხუმი

„ბოხუმმა" რა იცოდა, „ურდინგენი" თუ მოიგებდა და თავისი სცადა. გასვლით მატჩში სტუმრებმა გახსნეს კიდეც ანგარიში (ჰუბნერი 22), მაგრამ ტოლი არც „კარლსრუემ" დაუდო და ჯერ ერთი შეტევით ორჯერ ძელს მოარტყა, მერე, 67-ე წუთზე, ბეეკერსს ავტოგოლი შეაგდებინა, 72-ზე კი ბონანის ზუსტი დარტყმით წინ გავიდა. „ბოხუმმა" მაინც არ მოისვენა და პეშელმა 77-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

მალხაზ მჭედლიშვილი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დორტმუნდი | 34 | 20 | 9 | 5 | 67-33 | 49 |
| 2 ვერდერი | 34 | 20 | 8 | 6 | 70-39 | 48 |
| 3 ფრაიბურგი | 34 | 20 | 6 | 8 | 66-44 | 46 |
| 4 კაიზერსლაუტ. | 34 | 17 | 12 | 5 | 58-41 | 46 |
| 5 გლადბახი | 34 | 17 | 9 | 8 | 66-41 | 43 |
| 6 ბაიერნი | 34 | 15 | 13 | 6 | 55-41 | 43 |
| 7 ლევერქუზენი | 34 | 13 | 10 | 11 | 62-51 | 36 |
| 8 კარლსრუე | 34 | 11 | 14 | 9 | 51-47 | 36 |
| 9 აინტრახტი | 34 | 12 | 9 | 13 | 41-49 | 33 |
| 10 კიოლნი | 34 | 11 | 10 | 13 | 54-54 | 32 |
| 11 შალკე | 34 | 10 | 11 | 13 | 48-54 | 31 |
| 12 შტუტგარტი | 34 | 10 | 10 | 14 | 52-62 | 30 |
| 13 ჰამბურგი | 34 | 10 | 9 | 15 | 43-50 | 29 |
| 14 მიუნხენ 1860 | 34 | 8 | 11 | 15 | 41-57 | 27 |
| 15 ურდინგენი | 34 | 7 | 11 | 16 | 37-52 | 25 |
| 16 ბოხუმი | 34 | 9 | 4 | 21 | 43-67 | 22 |
| 17 დუისბურგი | 34 | 6 | 8 | 20 | 31-64 | 20 |
| 18 დინამო | 34 | 4 | 8 | 22 | 33-68 | 16 |



ჰაიკო ჰერლიხი

— ბომბარდირები —

მარიო ბასლერი



## გოლეადორები

**ვერდერი — 70 გოლი**

| | |
|---|---|
| მარიო ბასლერი | 20 |
| მარკო ბოდე | 14 |
| ვლადიმერ ბესჩასტნიხი (რუსეთი) | 10 |
| ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია) | 10 |
| ბერნდ ჰობში | 7 |
| უინტონ რუფერი (ახ.ზელანდია) | 2 |
| ჰანი რამზი (ეგვიპტე) | 2 |
| ფრანკ ნოიბარტი | 2 |
| დიტერ აილტსი | 1 |
| მირკო ვოტავა | 1 |
| ავტოგოლი | |
| თომას ფოგელი (ფრაიბურგი) | |

**დორტმუნდი — 67**

| | |
|---|---|
| მიხაელ ცორკი | 15 |
| ანდრეას მიოლერი | 14 |
| შტეფან შაპუიზა (შვეიცარია) | 12 |
| კარლ-ჰაინც რიდლე | 6 |
| მათიას ზამერი | 4 |
| შტეფან როიტერი | 4 |
| რენე ტრეჩოკი | 3 |
| შტეფან ფროინდი | 2 |
| ლარს რიკენი | 2 |
| ფლემინგ პოლსენი (დანია) | 1 |
| ხულიო სეზარი (ბრაზილია) | 1 |
| მარტინ კრეე | 1 |
| იბრაჰიმ ტანკო | 1 |
| ავტოგოლი | |
| რაინერ მაურერი (მიუნხენი) | |

**მიონხენგლადბახი — 66**

| | |
|---|---|
| ჰაიკო ჰერლიხი | 20 |
| მარტინ დალინი (შვედეთი) | 11 |
| თომას კასტენმაიერი | 8 |
| შტეფან ეფენბერგი | 7 |
| პეტერ ვინჰოფი | 6 |
| ჰოლგერ ფახი | 4 |
| იორგ ნოინი | 3 |
| კრისტიან ჰოშტეტერი | 2 |
| ბაშირუ სალუ (ტოგო) | 2 |
| მარტინ შნაიდერი | 1 |
| პატრიკ ანდერსონი (შვედეთი) | 1 |
| კარლ-ჰაინც ჰფლიფსენი | 1 |

**ფრაიბურგი — 66**

| | |
|---|---|
| როდოლფო კარდოსო (არგენტინა) | 16 |
| უვე შპისი | 13 |
| იორგ ჰაინრიხი | 7 |
| რალფ კოლი | 5 |
| მარტინ შპარინგი | 4 |
| უვე ვასმერი | 4 |
| ანდრეას ცაიერი | 4 |
| იენს ტოდტი | 4 |
| დემირ ბურიჩი (ხორვატია) | 2 |
| შტეფან მიულერი | 1 |
| აქსელ ზუდერმანი | 1 |
| დრაიერი | 1 |
| მაქს ჰაიდენრაიხი | 1 |
| ავტოგოლი | |
| დიტმარ როტი (აინტრახტი) | |

**ლევერკუზენი — 62**

| | |
|---|---|
| რუდი ფიოლერი | 16 |
| ულფ კირსტენი | 16 |
| პაულო სერჟიო (ბრაზილია) | 9 |
| ჰანს-ჰეტერ ლეჰნჰოფი | 5 |
| პაველ ჰაპალი (ჩეხეთი) | 3 |
| თომას დული (აშშ) | 2 |
| ბერნდ შუსტერი | 2 |
| ჰაიკო შოლცი | 2 |
| მარკუს მიუნხი | 2 |
| ანდრეას ტომი | 2 |
| კრისტიან ვორნსი | 1 |
| მარკუს ჰაპე | 1 |
| ავტოგოლი | |
| შტეფან მიულერი (ფრაიბურგი) | |

**ბაიერნი — 60**

| | |
|---|---|
| კრისტიან ციგე | 12 |
| მეჰმედ შოლი | 9 |
| ალექსანდრ ციკლერი | 9 |
| კრისტიან ნერლინგერი | 5 |
| ლოთარ მათეუსი | 5 |
| თომას ჰელმერი | 4 |
| მარკუს შუპი | 3 |
| მარსელ ვიტეჩეკი | 3 |
| მარკუს ბაბელი | 2 |
| ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი) | 2 |
| დიტერ ფრაი | 2 |
| ოლივერ კროიცერი | 1 |
| ალენ სუტერი (შვეიცარია) | 1 |
| ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი) | 1 |
| ჟორჟინიო (ბრაზილია) | 1 |

ჩამონათვალში შეტანილია „აინტრახტი" — „ბაიერნის" გაუქმებულ მატჩში (2:5) გატანილი გოლებიც.

**კაიზერსლაუტერნი — 58**

| | |
|---|---|
| პაველ კუკა (ჩეხეთი) | 16 |
| შტეფან კუნცი | 14 |
| ჩირიაკო სფორცა (შვეიცარია) | 7 |
| ოლაფ მარშალი | 7 |
| ანდრეას ბრემე | 4 |
| მიროსლავ კადლეცი (ჩეხეთი) | 3 |
| მარკო ჰაბერი | 3 |
| დირკ ანდერსი | 1 |
| მარტინ ვაგნერი | 1 |
| მათიას ჰამანი | 1 |
| ვოლფგანგ ფუნკელი | 1 |

**კიოლნი — 54**

| | |
|---|---|
| ტონი პოლსტერი (ავსტრია) | 17 |
| ბრუნო ლაბადია | 14 |
| ფრანკ გრაინერი | 4 |
| ოლაფ იანსენი | 3 |
| ჰორსტ ჰელდტი | 2 |
| რალფ ჰაუპტმანი | 2 |
| ანჯეი რუდი (პოლონეთი) | 2 |
| პატრიკ ვაიზერი | 2 |
| რისო შტაინმანი | 2 |
| თომას ცდებელი | 1 |
| შტეფან კოხი | 1 |
| ალფონს ჰიგელი | 1 |
| პაბლო ტიამი | 1 |
| იანუშ ძივიორი | 1 |
| ავტოგოლი | |
| ოლაფ ტონი (შალკე-04) | |

**შტუტგარტი — 52**

| | |
|---|---|
| ფრედი ბობიჩი | 12 |
| აქსელ კრუზე | 8 |
| ჯოვანი ელბერი (ბრაზილია) | 8 |
| ლუდვიგ კიოგლი | 6 |
| კარლოს დუნგა (ბრაზილია) | 3 |
| ანდრეას ბუკი | 3 |
| მარკ კინლე | 2 |
| გერჰარდ ჰოშნერი | 2 |
| თომას შნაიდერი | 2 |
| კოვიჩი | 2 |
| თომას შტრუნცი | 1 |
| თომას ბერთოლდი | 1 |
| მიხაელ ბოხტლერი | 1 |
| ავტოგოლი | |
| მირკო დიკხაუტი (აინტრახტი) | |

**კარლსრუე — 51**

| | |
|---|---|
| ედგარ შმიტი | 10 |
| ადრიან კნუპი (შვეიცრაია) | 6 |
| ტორსტენ ფინკი | 5 |
| ჰაიკო ბონანი | 4 |
| მიხაელ ტარნატი | 3 |
| სლავენ ბილიჩი (ხორვატია) | 3 |
| თომას ჰესლერი | 3 |
| ებერჰარდ კარლი | 3 |
| მანფრედ ბენდერი | 3 |
| სერგეი კირიაკოვი (რუსეთი) | 2 |
| ბურკჰარდ რაიხი | 1 |
| კრისტიან ვიუკი | 1 |
| იენს ნოვოტნი | 1 |
| ლარს შმიდტი | 1 |
| გიუნტერ მეტცი | 1 |
| ავტოგოლი | |
| რობ ბეეკერსი (ბოხუმი) | |

**შალკე-04 — 48**

| | |
|---|---|
| ჰენდრიკ ჰერცოგი | 8 |
| რადოსლავ ლატალი (ჩეხეთი) | 7 |
| ანდრეას მიულერი | 7 |
| ინგო ანდერბრიუგე | 6 |
| შტეფან კონი | 5 |
| იური მულდერი (ჰოლანდია) | 4 |
| სერგეი დეგტიარი (უკრაინა) | 2 |
| მიხაელ ბიუსკენსი | 2 |
| ირჟი ნემეცი | 2 |
| ოლაფ ტონი | 1 |
| თომას ლინკე | 1 |
| იენს ლემანი | 1 |
| ივეს აიგენრაუხი | 1 |
| მიგელ პერეირა | 1 |

**ჰამბურგი — 43**

| | |
|---|---|
| იორგ ალბერტცი | 9 |
| ჰარალდ შპიორლი | 8 |
| კარსტენ ბერონი | 4 |
| იორდან ლეჩკოვი (ბულგარეთი) | 4 |
| ანდრე ბრაიტენრაიტერი | 4 |
| შტეფან შნორი | 3 |
| პეტარ ხუბჩევი (ბულგარეთი) | 2 |
| ვალდას ივანაუსკასი (ლიტვა) | 2 |
| კინდვალი | 2 |
| სერხიო სარატე (არგენტინა) | 1 |
| იურგენ ჰარტმანი | 1 |
| ანდრეას ფიშერი | 1 |
| მაზონი | 1 |
| ავტოგოლი | |
| ანდრე ვიდენერი (ვერდერი) | |

**ბოხუმი — 43**

| | |
|---|---|
| უვე ვეგმანი | 10 |
| ტომაშ ვალდოხი (პოლონეთი) | 4 |
| ბალუშინსკი | 4 |
| დარიუს ვოში | 4 |
| პეტერ პეშელი | 4 |
| ჰოლგერ ადენი | 3 |
| ტორდურ გუდიონსონი (ისლანდია) | 3 |
| მიხაელ ფრონტცეკი | 2 |
| ფრანკ ჰაინემანი | 2 |
| კაი მიხალკე | 2 |
| მარკუს ფონ ალენი | 1 |
| პაოლო და პალმა | 1 |
| კრისტიან ჰერმანი | 1 |
| მიხაელ ჰუბნერი | 1 |

**აინტრახტი — 41**

| | |
|---|---|
| ენტონი იებოა (განა) | 7 |
| ავგუსტინ ოკოჩა (ნიგერია) | 7 |
| მანფრედ ბინცი | 4 |
| მიხაელ ანიჩიჩი (ბოსნია) | 4 |
| მირკო დიკხაუტი | 3 |
| სლობოდან კომლენოვიჩი (იუგოსლ.) | 3 |
| იან ფურტოკი (პოლონეთი) | 3 |
| ტორსტენ ლეგატი | 2 |
| მათიას ბეკერი | 2 |
| თომას დოლი | 1 |
| კახაბერ ცხადაძე (საქართველო) | 1 |
| რალფ ვებერი | 1 |
| თომას რაისი | 1 |
| ავტოგოლი | |
| თომას ფრანკი (დორტმუნდი) | |
| იენს დოვე (მიუნხენი) | |

**მიუნხენ-1860 — 41**

| | |
|---|---|
| გერჰარდ ვინკლერი | 10 |
| ოლაფ ბოდენი | 5 |
| პეტერ ნოვაკი (პოლონეთი) | 5 |
| ბერნდ ტრარესი | 4 |
| იენს დოვე | 4 |
| გვიდო ერჰარდი | 4 |
| პეტერ პაკულტი (ავსტრია) | 3 |
| რენე რიდლევიჩი | 2 |
| მატს ლილიენბერგი (შვედეთი) | 1 |
| თომას მილერი | 1 |
| ალექსანდრ კუჩერა | 1 |
| ავტოგოლი | |
| უვე შნაიდერი (ბოხუმი) | |

**ურდინგენი — 37**

| | |
|---|---|
| შტეფან პასლაკი | 8 |
| მარკუს ფელდჰოფი | 7 |
| გიუნტერ ბიტენგელი (ჩეხეთი) | 4 |
| ჰორსტ შტეფენი | 4 |
| ჰაიკო ლესინგი | 3 |
| მარკუს ვადაუ | 3 |
| რაინერ კრიგი | 2 |
| იან ჰაინცე (დანია) | 2 |
| ფრანკ ვებერი | 1 |
| უვე გრაუერი | 1 |
| ჰაიკო ჰეშკე | 1 |
| ავტოგოლი | |
| ვილდმანი (შტუტგარტი) | |

**დინამო — 33**

| | |
|---|---|
| ჯონი ექსტრიომი (შვედეთი) | 7 |
| მიხაელ შპისი | 6 |
| ჰენრი ფუხსი | 4 |
| მარკო დიტგენი | 3 |
| თომას რატი | 3 |
| ანჯეილ ლესიაკი (პოლონეთი) | 2 |
| რენე ბოიშელი | 2 |
| მარიო კერნი | 1 |
| უვე იანიგი | 1 |
| იენს იერემისი | 1 |
| დეტლეფ შოსლერი | 1 |
| ფლორიან ვაინჰერტი | 1 |
| ავტოგოლი | |
| თომას ზელიგერი (მიუნხენი) | |

**დუისბურგი — 31**

| | |
|---|---|
| პეტერ კიოცლე | 4 |
| იოაჰიმ ჰოპი | 3 |
| მარკუს მარინი | 3 |
| რაშიდ ასუზი (მაროკო) | 3 |
| ალექსანდრ ლებე | 3 |
| უვე ვეიდემანი | 2 |
| მარკუს ოსტჰოფი | 2 |
| ალფრედ ნიიჰუისი (ჰოლანდია) | 2 |
| რაინერ შუტერლე | 2 |
| თომას ჰუშმანი | 2 |
| შტეფან ბოგერი | 1 |
| ოლივერ ვესტერბიკი | 1 |
| მარიო კრომი | 1 |
| ტორსტენ ვოლერტი | 1 |
| ფერენც შმიდტი | 1 |

# ესპანეთი

## «ბარსელონაც» რიგში იდგა

38-ე ტური. 17-18 ივნისი. **სარაგოსა — ვალენსია 2:2, კომპოსტელა — ტენერიფე 2:0, ესპანიოლი — სოსიედადი 0:0, სანტანდერი — ოვიედო 2:0, ხიხონი — ვალიადოლიდი 1:3, ბილბაო — ბარსელონა 0:2, ალბასეტე — დეპორტივო 2:8, ლოგრონიესი — სელტა 0:3, სევილია — ატლეტიკო 2:2, რეალი — ბეტისი 0:2**

ყურადღების ცენტრში უეფას თასის გათამაშებაში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლა იყო. ამ ტურნირში მონაწილეობაზე ხუთი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. მათ შორის იყო ბოლო ოთხი წლის ჩემპიონი „ბარსელონაც", რომელსაც უშუალო კონკურენტთან ბილბაოს „ატლეტიკთან" სტუმრად ძალიან ძნელი მატჩი ჰქონდა. „ბარსელონა", რომელიც მანამდე არასოდეს დარჩენილა ევროტურნირების მიღმა, ამჯერად უსიამოვნებისაგან ბეგირისტაინისა და ჯორდი კრუიფის გოლებმა იხსნა. უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა „ბეტისმა": მადრიდში, სანტიაგო ბერნაბეუს სტადიონზე ახალი ჩემპიონის „რეალის" 2:0 დამარცხებით სევილიელებმა უეფას თასზეც გაიჯალდეს ადგილი და ბრინჯაოს მედლებიც დაისაკუთრეს.

დანარჩენმა ორმა პრეტენდენტმა („ესპანიოლი", „სევილია") თავიანთი მატჩები ფრედ დაამთავრა და მესამე ადგილის მფლობელის ვინაობა მხოლოდ ესპანეთის თასის ფინალური მატჩის შემდეგ გაირკვევა (24 ივნისი: „ლა კორუნია" — „ვალენსია"). თუ „ლა კორუნიამ" გაიმარჯვა, საგზურს „სევილია" მიიღებს (პირად შეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლით). ვალენსიის გამარჯვებით კი უეფას თასის საგზური დარჩება „ლა კორუნიას". რომელმაც ბოლო ტურში გამანადგურებელი მარცხი აგემა ალბასეტეს 8:2 (სამი გოლი ხულიო სალინასმა გაიტანა).



ხორდი კრუიფის გოლმა მამამისი დიდ უსიამოვნებას გადაარჩინა

აქვე მოგიბოდიშებთ და წინა „სარბიელში" გაპარულ შეცდომას გავასწორებთ. ესპანეთის თასის ნახევარფინალები ასე დამთავრდა: „ლა კორუნია" — „სპორტინგი" 0:1 (პირველი მატჩი 2:0), „ალბასეტე" — „ვალენსია" 1:2 (1:1).

ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდი მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში ითამაშებს, კიდევ ორს კი „გადასასვლელი" მატჩები ელის.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | 38 | 23 | 9 | 6 | 76-29 | 55 |
| 2 | ლა კორუნია | 38 | 20 | 11 | 7 | 67-32 | 51 |
| 3 | ბეტისი | 38 | 15 | 16 | 7 | 46-25 | 46 |
| 4 | ბარსელონა | 38 | 18 | 10 | 10 | 60-45 | 46 |
| 5 | სევილია | 38 | 16 | 11 | 11 | 55-41 | 43 |
| 6 | სარაგოსა | 38 | 18 | 7 | 13 | 56-51 | 43 |
| 7 | ესპანიოლი | 38 | 14 | 15 | 9 | 51-35 | 43 |
| 8 | ატლეტიკი | 38 | 16 | 10 | 12 | 39-42 | 42 |
| 9 | ოვიედო | 38 | 13 | 13 | 12 | 45-42 | 39 |
| 10 | ვალენსია | 38 | 13 | 12 | 13 | 53-48 | 38 |
| 11 | სოსიედადი | 38 | 12 | 14 | 12 | 56-44 | 38 |
| 12 | რასინგი | 38 | 13 | 10 | 15 | 42-47 | 36 |
| 13 | სელტა | 38 | 11 | 14 | 13 | 36-48 | 36 |
| 14 | ატლეტიკო | 38 | 13 | 9 | 16 | 56-54 | 35 |
| 15 | ტენერიფე | 38 | 13 | 9 | 15 | 58-57 | 35 |
| 16 | კომპოსტელა | 38 | 11 | 12 | 15 | 44-56 | 34 |
| 17 | ალბასეტე | 38 | 10 | 14 | 14 | 44-61 | 34 |
| 18 | სპორტინგი | 38 | 8 | 12 | 18 | 42-67 | 28 |
| 19 | ვალიადოლიდი | 38 | 8 | 9 | 21 | 25-63 | 25 |
| 20 | ლოგრონიესი | 38 | 2 | 9 | 27 | 15-79 | 13 |

# ფეხბურთის რუკასთან



უკრაინის ჩემპიონატის XXII ტური „ქართველთა ტურად" შეიძლება მოინათლოს: შეპეტოვკის „ტემპმა" 3:0 მოუგო „ვოლინს" (ორი გოლი ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეებმა გაიტანეს) და 31 ქულა დააგროვა, იმდენივე, რამდენიც აუტსაიდერმა „ვერესმა", რომელმაც თეიმურაზ გადელიას გოლის წყალობით ქულა იხსნა შინ ვინიცის „ნივასთან". ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფმა ლუგანსკის „ზარია-მლასმა" კი გელა კვიტატიანის გატანილი პენალტით მოუგო ტექნოპოლისის „ნივას" და 32 ქულა დააგროვა. ამ სამი გუნდიდან, რომლებშიც ახლა თხუთმეტამდე ქართველი ფეხბურთელია, ორი უკანსასკნელი ლიგას დატოვებს. „ტემპს" ბოლო ორ თამაშში ვერ მიეხმარება იური გაბისკირია — სხვა ქართველებისთვის „ფეხბედნიერ" ამ ტურში იგი მინდვრიდან გააძევეს. კიევის „დინამომ" კი, სადაც არცერთი ქართველი არ თამაშობს, 4:0 დაამარცხა „ნიკოლაევი" და უკვე გაინაღდა ქვეყნის ჩემპიონობა. ოდესის „ჩერნომორეცმა" 5:2 დაამარცხა „კრივბასი" და ესეც ვადამდე დაეუფლა ვერცხლის მედლებს. მესამე ადგილისათვის დონეცკის „შახტიორი" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" იბრძვიან. ამ უკანასკნელმა შინ 2:3 წააგო ზაპოროჟიეს „ტორპედოსთან", არადა, მანამდე გერმანელი მწვრთნელის, ბერნდ შტანგეს ხელმძღვანელობით რვა მატჩი მოიგო, 21 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა.

ინგლისურ ტრანსფერებში რეკორდი დამყარდა: „ლივერპულმა" 8,5 მილიონ გირვანქად (13,6 მილიონი დოლარი) „ნოტინგემ ფორესტისგან" შეიძინა ეროვნული ნაკრების წევრი სტენ კოლიმორი. აქამდე უდიდეს ინგლისურ ტრანსფერად ენდი კოულის გასული სეზონის შუაში „ნიუკასლიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" 7 მილიონ გირვანქად გადასვლა ითვლებოდა. დიდი გამოხმაურება ჰპოვა აგრეთვე ჰოლანდიელი დენის ბერხკამპის მილანის „ინტერიდან" ლონდონის „არსენალში" გადაბარგებამ. თავდამსხმელი ბრიტანელებს 7,5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. კონტრაქტზე ხელის მოსაწერად დღეს ლონდონში ჩავა იტალიური გუნდის გენერალური მენეჯერი პაოლო ტავეჯა. ზემოხსენებული თანხიდან 2 მილიონი ბერხკამპის ჯიბეში წავა, რასაც კლუბის მიერ დანიშნული თვიური 100 ათასი გირვანქა დაემატება. ჰოლანდიელის გადაბირება „არსენალის" ახალ მწვრთნელს ბრუს რიოქს ჰქონდა დაჟინებული. ფეხბურთელს „ჩელსიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ მას მერე, რაც ბერხკამპმა განაცხადა, ინგლისში იმ შემთხვევაში გადავალ, თუ ისეთსავე ხელფასს მომცემენ, იტალიაში რომ მაძლევენო, უკან დაიხია. ისეთივე თანხის გადახდა მარტო „არსენალმა" შეძლო, თანაც კლუბის ოფისში 5 ათასამდე გულშემატკივარმა დარეკა და განაცხადა, თუ ვინმე ვარსკვლავს არ შეიძენთ, აბონემენტებს აღარ ვიყიდითო.

იტალიის „ინტერმა" კი, მართალია, ბერხკამპი გაუშვა, მაგრამ განახლებული გუნდის შექმნა დაისახა მიზნად. მილანელები თანაქალაქელ „მილანთან" აპირებენ გაჯიბრებას. საამისოდ, როგორც ცნობილია, მათ ინგლისელი ზანგი პოლ ინსი მიიწვიეს და მასში 8 მილიონ გირვანქასაც იხდიან, მაგრამ საქმე შეყოვნდა. პრობლემა ის ყოფილა, რომ ინსის თეთრკანიანმა და წუნია ცოლმა იტალიაში საცხოვრებელი ვერ შეირჩია, არადა, თურმე სულ 3-4 სართულიანი ვილები ათვალიერებინეს. „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ინსის გარდა მისი თანამემამულე ლი შარპის და ფრანგი ერიკ კანტონას აყვანას აპირებს.

ზიმბაბვეს ნაკრების მწვრთნელად იქაური გიბსონ ჰემელას ნაცვლად 52 წლის ინგლისელი მიკ ბაგსტონი დანიშნეს. ბაგსტონი „სანდერლენდს" ედგა სათავეში, ადრე კი „უიმბლდონსაც" წვრთნიდა. ახალი მენეჯერის პირველი გამოცდა ივლისში კამერუნთან შედგება.

თურქული კლუბები უცხოელ მწვრთნელებს იწვევენ. „გალათასარაიში" მუშაობას იწყებს გრემ სუნესი, რომელმაც ამასწინათ ინგლისურ გაზეთ „ფიფლზ"-ს სასამართლოში 75 ათასი გირვანქა მოუგო. თურმე გაზეთმა სუნესს ყოფილ მეუღლესთან და შვილებთან უხეში მოპყრობა დასწამა, არადა, იგი ცოლს შერიგებია და თავს ბედნიერად გრძნობს. „ფენერბახჩეს" კი მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი, ახლახან ესპანეთის „ვალენსიის" მიერ შერისხული კარლოს ალბერტო პარეირა უხელმძღვანელებს.

რუსეთში ლიგამ „დინამო-გაზოვიკის" და ცსკა-ს მატჩის (2:0) შედეგი გააუქმა და გადათამაშება დანიშნა. ასეთი გადაწყვეტილების საბაბი მსაჯობით უკმაყოფილო ცსკა-ს საჩივარი იყო. ფიფამ საკითხი შეისწავლა და რუსთ ჩემპიონატის მმართველებს გადაწყვეტილება დაუწუნა.

ავსტრიის ჩემპიონი გახდა ზალცბურგის „კაზინო", რომელმაც ბოლოს „ტიროლთან" 0:2 წააგო. საბოლოოდ, „კაზინოს" და გრაცის „შტურმს" თანაბარი ქულები დაუგროვდათ, მაგრამ ბურთების ფარდობით ზალცბურგელებმა აჯობეს.

დანიის ჩემპიონი, პირველად 110 წლის არსებობის მანძილზე, გახდა „ოლბორგი", რომელმაც ბოლო ტურში „ორხუსს" სტუმრად 4:0 მოუგო. ამ შეხვედრაში ჰეთრიკი ერიკ ბო ანდერსენმა შეასრულა.

ავსტრალიამ სიდნეიში უმასპინძლა განას და მოუგო 2:1. მასპინძელთაგან ვიდმარმა და არნოლდმა ივარგეს, სტუმართაგან აბლადიმ გაიტანა.

აშშ-ში დაიწყო ტრადიციული ტურნირი „აშშ-ს თასი". მასპინძლებმა ნიგერიას 3:2 მოუგეს, მექსიკას — 4:0.

შვედეთში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ ნახევარფინალში ნორვეგიამ აშშ-ს 1:0 მოუგო, თანაც კაპიტნის გაძევების შემდეგ ათი ქალით ეთამაშებოდა. მეორეში გერმანიამ ჩინეთი დაამარცხა 1:0. მესამე ადგილს აშშ დაეუფლა, რომელმაც ჩინეთს 2:0 მოუგო. მსოფლიოს ჩემპიონი კი რილსეს (37 წთ) და მარიან პეტერსენის (41 წთ) გოლების წყალობით ნორვეგია გახდა, რომლის წინააღმდეგ გერმანიამ ვერაფერი გააწყო — 2:0.

პოლონეთში ვარშავის „ლეგიამ" 2:0 მოუგო კატოვიცეს გ.კ.ს.-ს და ამით ჩემპიონატში გამარჯვება ქვეყნის თასით დაამშვენა.

დენის ბერხკამპი




„არსენალმა" შვიდნახევარი მილიონი გირვანქა არ დაინანა კაცისთვის, ვინც იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში სულ 3 გოლი გაიტანა.

# ბრწყინვალე


ეროვნული ბიბლიოთეკა

# შერისხული

ჯანლუკა ვიალიმ არიგო საკის თანაშემწესთან, იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ყოფილ მოთამაშე კარლო ანჩელოტისთან დაიწუწუნა, ჩვენს მწვრთნელს მეტისმეტი მოსდისო. მეტისმეტი ის იყო, რომ საკი ფეხბურთელებს რვა საათზე ადგომას, სასადილოში ზრდილ ქცევას და ავტობუსში გადაძახილებისა და ხუმრობების გარეშე სხდომას სთხოვდა. ვიალის ნათქვამი ანჩელოტიმ მწვრთნელს უამბო, რის შედეგადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მალტაში, იტალიამ 2:1 რომ მოიგო და 1992 წლის ოქტომბერში რომ გაიმართა, ფეხბურთელისთვის 59-ე და ბოლო აღმოჩნდა. შემდეგი შეხვედრა, ამხანაგური მატჩი მექსიკასთან, „სკუადრა ადურამ" უკვე მის გარეშე ჩაატარა, რასაც ტრავმების პერიოდიც მოჰყვა და საკის ფორმალური საბაბიც მიეცა. მას მერე დრო გამოხდა. ვიალიმ კვლავ ძლიერად იწყო თამაში, მაგრამ ნაკრების კარი მისთვის საგულდაგულოდ ჩაკეტათ. ევროპის ჩემპიონატის ახლანდელ შესარჩევ ციკლში უკრაინისა და ესტონეთის წინააღმდეგ ყველა ელოდა ცნობილი თავდამსხმელის საკის სიაში პოვნას. ელოდნენ კი არა, ძთხოვდნენ კიდეც, მაგრამ ამაოდ. კითხვაზე, ვიალის თუ აიყვანთ ნაკრებში, მწვრთნელი მოკლედ პასუხობდა: არა, გმადლობთ. სამაგიეროდ, ლურჯი ფორმა პირველად მოირგეს ვიალის თანაგუნდელებმა ფაბრიციო რავანელიმ და ალესანდრო დელ პიერომ. „მე მჭირდებიან ტექნიკური და მომავლის მქონე ფეხბურთელები. ამ თვალსაზრისით დელ პიერო და რავანელი ყურადღების ღირსნი არიან" — განაცხადა საკიმ. არადა, ვიალი წლეულს საუცხოო ფორმაში იყო. რობერტო ბაჯოს ტრავმამ ნახევარი სეზონი გააცდენინა და საყოველთაო აზრით, „იუვენტუსისთვის" ამ დანაკარგის შევსებაში უდიდესი როლი სწორედ ჯანლუკა ვიალიმ ითამაშა.

აქა-იქ ინტერვიუებში არიგო საკის განუცხადებია, ზოგიერთ ფეხბურთელს ნაკრებში თამაშის მორალური უფლება არა აქვსო. ვიალისტი გულშემატკივრები ამ სიტყვებს უშუალოდ თავიანთი კერპის მისამართით ნათქვამად აღიქვამდნენ და ბზარი ნელ-ნელა ნაპრალად იქცა. ფეხბურთელმა ცინიზმს მიმართა. იტალიამ ნოემბერში შინ ხორვატიასთან 1:2 რომ წააგო და ვიალის აზრი ჰკითხეს, მან ასე უპასუხა: „არც ისე ცუდად არის საქმე, თქვენ რომ გგონიათ. ბოლო ათ დღეში ნაკრებმა ხომ სამი შეხვედრა გამართა, ერთი საკუთარ სათადარიგო შემადგენლობასთან, მეორე სამოყვარულო გუნდ „არეზოსთან" და მესამე ხორვატიასთან. სამი შეხვედრიდან ორის მოგება არცთუ ურიგო შედეგია."

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგული „პლანეტ ფუტისთვის" მიცემულ ინტერვიუში თავდამსხმელი უფრო შორს წავიდა: „საკისთან იმდენი პრობლემა მაქვს, რომ ჩემს თავს იტალიის წარმატებათა მონაწილედ ვეღარ აღვიქვამ. არც იმას დაგიმალავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიას ვქომაგობდი."

ვიალის ასეთი გამოსვლებით აღშფოთებულმა ყოფილმა ვარსკვლავმა ჯანი რივერამ ტელევიზიით განაცხადა: „ამ კაცს ნაკრებში თამაშის ერთადერთი შანსი მაშინ ექნება, თუ მწვრთნელი თვითონ გახდება. სისულელეა, კაცს შეუტიო, ლანძღო და შემდეგ მისგან გუნდში აყვანას ელოდო".

ამგვარად, ფეხბურთელი კლუბის ამარა დარჩა, მაგრამ აქ საწუხარი ნამდვილად არაფერი აქვს. იგი დიდებულად თამაშობს და წლეულს იტალიის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც. „მე „იუვენტუსის" ბევრი რამ მმართებს, მაგალითად, ჩემპიონთა თასი" — აცხადებს 30 წლის ვიალი, რომელიც თავს საუცხოოდ გრძნობს და როგორც თავადაც თქვა, აწი მთელი ნიჭის კლუბისთვის შელევას აპირებს.

პაპუნა კეღია

## «სელტიკის» რეკორდს თუ შევწვდებით?

თბილისის „დინამო" ზედიზედ მოპოვებული ქვეყნის ჩემპიონობით ამ „საქმეში" გამორჩეულ ევროპულ კლუბებში მოწინავეთა შორისაა. გთავაზობთ იმ გუნდების ნუსხას, რომლებიც ზედიზედ 6-ჯერ და მეტჯერ ფლობდნენ ჩემპიონის ტიტულს

| | |
|---|---|
| სელტიკი (შოტლანდია) — 1966-1974 | — 9 |
| მტკ (უნგრეთი) — 1917-1925 | — 9 |
| ცდნა (ბულგარეთი) — 1954-1962 | — 9 |
| გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — 1989-1995 | — 7 |
| უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) — 1969-1975 | — 7 |
| დინამო (თბილისი, საქართველო) — 1990-1995 | — 6 |
| სელტიკი (შოტლანდია) — 1905-1910 | — 6 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — 1954-1959 | — 6 |
| ჩინეზული (რუმინეთი) — 1922-1927 | — 6 |
| ომონია (კვიპროსი) — 1974-1979 | — 6 |
| ლინფილდი (ჩრდ.ირლანდია) — 1982-1987 | — 6 |
| ფრამი (ისლანდია) — 1913-1918 | — 6 |
| კლაკსვიკი (ფარერები) — 1965-1970 | — 6 |

ამ ცხრილში დაწინაურების შანსი, მხოლოდ ორ გუნდს — „რეინჯერსს" და თბილისის „დინამოს" აქვთ, თუ ისინი მომავალ სეზონშიც ქვეყნის ჩემპიონები გახდებიან. ამასთან, თბილისის „დინამო" უნიკალური რეკორდის ავტორია — ევროპაში მხოლოდ მან შეძლო პირველ ექვს ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ 6-ჯერ გამარჯვება.

რევაზ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი დურბანის ტლაპოში

შაბათი, 17 ივნისი
დურბანი. „კინგზ პარკი". წვიმა და ქარი

**ს. აფრიკა 19 (10) — საფრანგეთი 15 (6)**

მსაჯი დერიქ ბევანი (უელსი) (41+43)
სამხრეთი აფრიკა: ჟუბერი; სმოლი, მულდერი, ლერუ, ვილიამსი; სტრანსკი, ფანდერვესტჰოიზენი (რუ, 54); დიურანი, რუსო, სვორტი; ვიზე, სტრაიდომი; პინარი (კაპ), კრუგერი, ენდრიუზი. — ლ: ჯგუფური-კრუგერი (26); გ და 4ს (2, 44, 49, 71): სტრანსკი
საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, სელა, ლაკრუა, სანტანდრე (კაპ); დეილო, გალთიე; არმარი, გონზალესი, კალიფანო; მერლი, რუმა; ბენაზი, კაბანი, სესიონი. — 5ს: ლაკრუა (36, 39, 45, 59, 78)

სამხრეთაფრიკული ზამთრის ჭირვეულობა ცხადად გამოჩნდა პირველ ნახევარფინალში, შაბათს ნატალის ბინაზე, ზღვის პირას რომ გაიმართა. კოკისპირულმა წვიმამ ისე დატბორა „კინგზ პარკის" მოედანი, რომ თამაშის დაწყება ორჯერ გადაიდო: ჯერ ერთი საათით, მერე კი კიდევ ნახევარი საათით. ამ ხნის მანძილზე იატაკის საწმენდი ჯაგრისებითა და მისთანებით აღჭურვილი მეეზოვეები, მოედნის მომვლელი პერსონალი და ბურთის მომტანი ბიჭები ამაოდ ცდილობდნენ წყლის მოედნიდან გადმოდენას. ამათი მცდელობა ფუჭი რომ გამოდგა, თამაშმაც ნათლად დაგვიდასტურა: მოთამაშეები როგორც კი გაიქცეოდნენ, შხეფები ტელეეკრანებზეც კი ჩანდა. ბურთიც ბევრჯერ გაეხირა მარჯვენა ლელოსთან წარმოქმნილ ტლაპოში და კიდევ ბევრჯერ გაჩერდა ზედ კიდის ხაზთან, რაც დამცველს ერთობ ურთულებდა საქმეს.

რა თქმა უნდა, ამგვარ ავდარში რაგბის თამაში უამრავგან და უამრავჯერ გამართულა. რად ღირს თუნდაც 1970-იან წლებში ოქლენდში გამართული ზელანდია — შოტლანდიის ტესტ-მატჩი, ისტორიაში „წყალბურთის ტესტად" რომაა ცნობილი, მაგრამ ამჯერად მავანთ წინადადება წამოუყენებიათ, თამაში სახვალიოდ ხომ არ გადავდოთო.

ორგანიზატორებმა არა ქნეს. მიზეზი ცხადი იყო: კვირას ქეიფთაუნში მეორე ნახევარფინალი უნდა გამართულიყო, ამ ორი დიდი მატჩის დამთხვევა კი დისკომფორტს შეუქმნიდა როგორც მთელი მსოფლიოს ტელეაუდიტორიას, ასევე ცხადად მაყურებლებსაც, რომელთა უმრავლე-



იუსტ ფანდერვესტჰოიზენს ფინალის წინ ნეკნი ატკინეს

სობასაც ორივე ნახევარფინალზე დასასწრები და დურბანიდან ქეიფთაუნში გადასაფრენი ბილეთები მამასისხლად შეეძინა.

„ქურციკები" ამ მსოფლიო თასზე მეორედ აღმოჩნდნენ ამგვარ ექსტრემალურ ვითარებაში: კანადასთან მატჩის წინ ხომ პორტ-ელიზაბეთის სტადიონზე შუქი ჩაქრა, რის გამოც თამაშის დაწყება მაშინაც საათნახევრით დაგვიანდა. მაშინ როგორ იყო, ვერ ვიტყვით, ამჯერად კი მასპინძლებს, ეტყობა, სულაც აღარ უნერვიულიათ და თამაშიც ერთობ შემართულებმა დაიწყეს, ხოლო ერთადერთმა ზანგმა ჩესტერ ვილიამსმა ძველ, რასისტული ჰიმნ „ძახილსაც" შეაწია ხმა.

საწყისი დარტყმა ერთი იყო და ორკაციანი დერეფნიდან ფანდერვესტჰოიზენმა რამდენიმე გზის თამამად შეატევინა მორკინალებს, რაც ლელოსთან მოპოვებული საჯარიმოთი დასრულდა. სტრანსკიმ გოლი შეაგდო, მაგრამ წვიმა წამოვიდა და მერე და მერე თუმცა რამდენჯერმე თითქოს გადაიღო, თამაში მაინც ერთობ გაფუჭა. საწყისი ნახევარი საათი უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ. მიმდინარეობდა პინგ-პონგი, დერეფანში ხტუნაობა, ჭიდილი... ფრანგებმა ერთადერთხელ, 22-ე წუთზე მოახერხეს თამაშის გაშლა, მეტოქის ლელოს ათ მეტრამდეც მიაღწიეს, მაგრამ შერკინებიდან უხეიროდ შეუტიეს, რაც მერე ბევრჯერ გაიმეორეს.

ამასობაში მასპინძლებმა მატჩის ერთადერთ ლელოსაც გამოკრეს ხელი და ისიც ჩვეული სტილით, ჯგუფურად გაიტანეს. ფანდერვესტჰოიზენმა ჯერ თავად შეუტია, მერე კვაჭი რუსო გაუშვა წინ, ბოლოს ხვადაგმა ვიზემ დაძრა მოლი და უელსელმა მსაჯმაც ყოჩაღად აღნუსხა კრუგერის დამიწება 10:0.

ვითარება დაიმუხტა. ფანდერვესტჰოიზენის იერიშის შემდეგ სვორტი და სესიონი წაკინკლავდნენ. მსაჯმა სტუმარი გაამტყუნა, მაგრამ სტრანსკიმ მესამედაც დააცილა მიზანს. მალე ფრანგებმაც იხეირეს. ვილიამსმა ჯერ ფეხბურთის მეკარესავით მოიგერია კიდეზე გადაგდებული ბურთი, ცოტა ხანში კი თავად ვერ უწია კიდეს. ჯერ ნტამაკის, მერე კი კაბანის აქტიურობის წყალობით ლაკრუამ ორჯერ დაარტყა კარში და ორი გოლი გაიტანა 6:10.

თამაშის განახლებისთანავე „ქურციკებმა" ისევ დაიმსახურეს მორიგი გოლი, რომელიც ერთ წუთში გაქვითა საფრანგეთმა. აქ ათამაშდა ბავშვობის შემდეგ 8 ნომრად პირველად მოთამაშე მარკ ენდრიუზი, რომლის ორი მიძალებაც ფრანგებს მორიგ სამ ქულად დაუჯდათ 9:16.

მასპინძლები თანდათან აიშალნენ. ფანდერვესტჰოიზენს, ვისაც შესვენებაზე 24-ნომრიანი კვართი ჩაეცვა, ბოლოსდაბოლოს ატკინეს ნეკნი და მოედნიდან გაისტუმრეს. მისმა შემცვლელმა რუმ იმავე სტილში სცადა თამაშის წარმართვა, მაგრამ სად მოვიდოდა ძირითად 9 ნომერთან.

ფრანგებმა თანდათან აიშვეს. „ქურციკებს" ტყუილად როდი ჰშინებოდათ დერეფანში „მამლების" გაწაფულობისა. ფრანგები ნაირ-ნაირად ეწყობოდნენ და მასპინძლებს მრავლად უქმნიდნენ პრობლემებს, მაგრამ თავადაც უჭირდათ ლაღად გათამაშება ბურთისა, რომელსაც კიდეზე გადასვლის შემდეგ პირსახოცით ამშრალებდნენ. ამას დაერთო ბებერი 10 ნომრის — კრისტოფ დეილოს უსუსური თამაშიც: ხომ ვერაფერს აკეთებდა და აბრაგანებსაც ისე არტყამდა, ჩვენში მისთანას უთუოდ ქეთინოდ მონათლავდნენ.

„ქურციკები" გაჭირვებით მისდევდნენ დასახულ გეზს და დროდადრო მწარედ იხვეწებოდნენ. ლაკრუამ ისევ ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მეხუთე დარტყმა კი, 65-ე წუთზე, გაუცუდდა. სამაგიეროდ, მასპინძლებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს: ჯერ შერკინების, მერე სტრანსკის შეტევის, ბოლოს კი რუს წინ გაგორების შემდეგ ფრანგებმა განიერი, მტკიცე მოლი დააყენეს თავიანთ ლელოსთან და იერიშიც ფაქტობრივად მოიგერიეს, მაგრამ საქმეში დროულად ჩაერია ავსტრალიელი თანმსაჯი ერიქსონი და ბევანს ხელიხელგადახვეულმა ამცნო, რომ მერლს პინარი შემოლახვოდა. სტრანსკიმ მერვე ცდიდან მეხუთე გოლი შეაგდო 19:12 და ბოლოს და ბოლოს გაალიმა ლაბადაჩამოფხატული მენეჯერი დიუპლესი.

უნებლიე მარცხს ფრანგები ვერ დაუთრგუნავს. მათმა შერკინებამ მგორავი მოლით რამდენჯერმე ათრია მეტოქე, მაგრამ მეხუთე თამაშში დაყენებულმა მესამე 9 ნომერმა გალთიემ დააგვიანა ბურთის გამოტანა. ტაიმის 37-ე წუთზე ლაკრუამ მაინც შეაგდო იოლი საჯარიმო, მერე კი ჯერ სტრანსკიმ ათმეტრიან ხაზს ვერ გადააცილა ბურთი, მერე კი სმოლს ბურთი წინ დაუვარდა. შერკინების შემდეგ დეილომ კვლავ პიჟონურად დაარტყა აბრაგანი, მაგრამ უეცრად იგი მიუვიდა მაროკოელ აბდელ ლატიფ ბენაზის, რომელიც ლელოსკენ გაქანდა და დაეცა. ფრანგებს ლელო გატანილი ეგონათ და ბენაზის მიშველების მაგივრად ხელები შემართეს, მსაჯმა კი სხვაგვარად განსაჯა: აბა, სტუმრებს ეგზომ საჭოჭმანო ლელოს ხომ არ ჩაუთვლიდა და მასპინძლებს ხომ არ გააგდებინებდა!

„ქურციკების"ლელოდან ხუთ მეტრში შერკინებათა მთელი სერიალი გაიმართა. მასპინძლებმა ხან ჩააქციეს შერკინება, ხან — შემოატრიალეს. ფრანგებმა ერთი-ორჯერ კიდეც მოაცვლევინეს მასპინძლებს ფეხი, მაგრამ მათმა ბრიყვმა 8 და 9 ნომრებმა ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს და ბოლოს ისლა ქნეს, რომ გაჩერებულ ლაკრუას კარის წინ მიაჩეჩეს ბურთი. აფრიკელებმა ალაგმეს მეტოქე, შერკინება ძლივსძლივობით მოუგეს, სტრანსკიმ ბურთი კიდეზე მოიგერია და ბევანის სასტვენი რა ესმა, ხტუნვა მორთო. ჩამწარდა დაბადების დღე ფრანგების მწვრთნელსა და ბრძენ 9 ნომერ პიერ ბერბიზიეს. რუმა გონზალესს გადაეხვია და სიმწრით ატირდა, „ქურციკები" ძუნძულით გაიქცნენ გასახდელისკენ, მათი შერკინების წინა ხაზმა კი გადახვია ხელი ერთმანეთს და გალაღდა.

# დიდი ბრიტანეთი განადგურებულია!

კვირა, 18 ივნისი
ქეიფთაუნი. „ნიულენდსი"

**ახ. ზელანდია 45 (25) — ინგლისი 29 (3)**

მსაჯი სთივენ პილდიჩი (ირლ.) (41+42)
ახ. ზელანდია: ოზბორნი; ვილსონი, ბანსი, ლითლი, ლომუ; მერთენსი, ბეშოფი; დაუდი, ფითსპატრიქი (კაპ), ბრაუნი; ი.ჯოუნზი, რ.ბრუქი; ბრუერი, კრონფელდი, ზ.ბრუქი (ლარსენი, 65). — ხლ: ლომუ (3, 25, 43, 72), კრონფელდი (5), ბეშოფი (52); 3გ: მერთენსი (5, 25, 72); ს: მერთენსი (12); 2ა: ზ. ბრუქი (21), მერთენსი (79)
ინგლისი: ქეთი; თ. ანდერვუდი, ქარლინგი (კაპ), გასქოთი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, მორისი; ლენარდი, მური, უბოგუ; ჯონსონი, ბეიფილდი; როდბერი, ქლარქი, რიჩარდსი. — 4ლ: რ. ანდერვუდი (59, 82), ქარლინგი (70, 75); 3გ (59, 75, 82) და ს (37): ენდრიუ

მეორე ნახევარფინალის კვირაძალს დედოფალ ელისაბედის დღეობის აღსანიშნავად გამოქვეყნდა ბრიტანეთისა და მისი თანამეგობრობის მოქალაქეთა ნუსხა, რომელთაც მონარქმა საპატიო რაინდობა უბოძა. პატივდებულთა შორის მედიას საგანგებოდ გამოერჩია ინგლისის დამრტყმელი რობ ენდრიუ, ვისაც პატიოსნად ულიარებია, ჩვენი მეტოქის თვალი, ზორბა ჯონა ლომუ ნაღდი ფენომენია, თუმც ჩვენთვის მაინც სულერთია, თუ ვისი დაჭერა მოგვიწევს, რადგანაც თუ ზელანდიელები გავაპარპაშეთ, უეჭველად დავმარცხდებითო.

ინგლისს საგანგებოდაც უმსჯელია, ლომუს დასაჭერად მარჯვენა ფრთაზე თითქმის მასავით ზორბა იან ჰანთერი ხომ არ დაგვეყენებინაო, მაგრამ ბოლოს მაინც მარდი თონი ანდერვუდი უმჯობინებია. ბრიტანელებს იმისი იმედიც ჰქონიათ, ლომუ ჩვენს შუამარბებსა და მცველს ვერ დაგვიჩაგრავს, თავად კი დაცვაში სუსტია, ამიტომ ენდრიუ უეჭველად დააყუმბარებს აბრაგანებითო.

ინგლისის ყველა ვარაუდი მცდარი გამოდგა. „ოლ ბლექსმა" თავიდანვე დაიბრიყვა და დააშინა მეტოქე, ისე რიხიანად შეასრულა „ჰაკა", რომელსაც ამჯერად დიდი ზინზან ბრუქი დირიჟორობდა. ინგლისელებს უკვე ჰიმნის მღერისას ეტყობოდათ, რომ დაზაფრულიყვნენ. ქარლინგმაც ერთობ სასოწარკვეთილმა გარდაისახა პირჯვარი.

თამაში ზელანდიამ დაიწყო და ბურთი ინგლისელთა გულის გასახეთქად დაუკიდა ლომუს. ქარლინგი და თ. ანდერვუდი ერთურთს შეეჯახნენ, ბურთი კი ლითლმა დაითრია და სასტიკად შეუტია. მერე ბურთი ვილსონამდე ჩათამაშდა, დაიწიშნა დერეფანი, იქიდან დაწყებული იერიში ცოტა ხნით შეაფერხა გასქოთმა, მაგრამ მონასტერი უკვე საფუძვლიანად არეულიყო. ბეშოფმა ორჯერ სწორი მიმართულება შეურჩია ბურთს და გრძელი პასით მონახა ლომუ, ვინაც ზედიზედ მიჰყარ-მოჰყარა და გათელა თ.ანდერვუდი, ქარლინგი და ქეთი და ლელო გაიტანა 5:0.

თამაშის განახლებისთანავე ლითლმა თავისივე 22-დან წამოიღო ბურთი. მანა და კოჭმორჩენილმა გლენ ოზბორნმა შვიდკაცას ყაიდაზე მთელი მოედანი გადასერეს და წამოსწრებულ კრონფელდს ლელო გაატანინეს 12:0.

ინგლისი აფაფხურდა, მაგრამ რაინდმა ენდრიუმ გუნდი სამჯერ დაალალატა — ფეხი აუკანკალდა და ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გააფუჭა. ამასობაში მერთენსმა ერთადერთი საჯარიმო შეაგდო, მერე კი ამ ერთხელაც დადასტურდა, რომ იღბალი ყოველთვის ძლიერის თანამზვედრია: მორიგი პინგ-პონგი იმით დასრულდა, რომ ზინზანმა, 8 ნომერმა, 40 მეტრიდან კადნიერად დაარტყა არეკნი და სასწაული გოლი გაიტანა 18:0.

ინგლისი უფრო გადაირია. როგორც უცხოელი მიმომხილველები აღნიშნავდნენ, სხვა ბრიტანელთა დარად ინგლისიც **percentage** (ფერსენთიჯ ანუ პროცენტული, ანგარიშიანი) რაგბის თამაშსაა ჩვეული, ხოლო **catch-up** (ქეჩ-აფ ანუ დაჭერობა, დასაწევი) რაგბის თამაშში დიდი ვერაფერი მუშტარია. ეს ამ მატჩმაც დაადასტურა. ძლიერმა, მაგრამ ლაღ, რისკიან ბურთაობას უჩვევმა გუნდმა რაგინდარა პოზიციიდან ბურთის გათამაშება სცადა, მაგრამ მთელი დარჩენილი დრო ცხადი იყო, რომ ამას დიდი გაჭირვებით ახერხებდა: ერთობ ხშირად ფერხდებოდა, მოლიდან, რაქიდან და ზედახორიდან კი ბურთს რომ რის-ვაინაჩრობით გამოიტანდა, მოიერიშეს გასაქანი აღარცა ჰქონდა.

ზელანდია, პირიქით, ერთობ რაციონალურად, სადად და სამაგალითოდ ირჯებოდა: მათ მიერ მოგებული და მოპოვებული ბურთი კამფეტივით შესატევი იყო, იერიში ყოველთვის მართებულად ვითარდებოდა, მოთამაშეებს კი ეტყობოდათ, რომ ინგლისელებზე მარდები, ტექნიკურები და გონიერები იყვნენ.

პირველი დიდი ავანტურის შემდეგ ინგლისმა რომ დაკარგა ბურთი, ლომუსგან უმალ მეორე ლელო მიიღო: ისევ ზინზანი, ლითლი, ბეშოფი, მერე კი ზინზანის საოცარი, გრძელი პასი და ლომუც კარსუკან შეგრიალდა 25:0.

ინგლისმა თავის ლელოში მორიგი თათბირი გამართა და საჯარიმოების გათამაშებას შეუდგა. თამაშის ბოლომდე ეს რვაჯერაც მოასწრო, 33-ე წუთზე კი ისტორიული მოვლენა მოხდა: მურმა, მორისმა და ბრგე როდბერმა ერთობლივი ძალებით დასცეს ლომუ.

ლომუს ფენომენი მართლაც საცნაურია. 196 სანტიმეტრი და 106 კილო კია, მაგრამ იშვიათი სვლა და პლასტიკა აქვს: უდიდეს სიჩქარეზე მეტოქეებს იოლად ატყუებს, ხოლო ვინც ფინტზე არ წამოეგება, მას ტანკივით გაიტანს ხოლმე. საქმე იქამდეც მისულა, რომ მისი მონაწილეობა თამაშს აზრს უკარგავს, ფიზიკურად იმდენად აღემატება დანარჩენებს. წარმოშობით ტონგელ გიგანტს წინათ სიზარმაცესა და არასერიოზულობას უკიჟინებდნენ, ახლა კი 20 წლისა მოყრილა და მოჭკვიანებულა..

მალე ლომუმ დაცვაშიც გაიჩინა თავი — ზედ შესვენების წინ მისი ლელოსკენ გაჭრილი თ. ანდერვუდი კიდეზე მოისროდა. შესვენების შემდეგ, მართალია, ქარლინგმა ერთხელ გააპამპულა — ბურთი ფეხით თავზე გადაუგდო და ლელო გაუტანა, მაგრამ მანამდე იგივე გარემარბი ერთხელაც გადააგდო, ბოლოს კი მის ძმას ლელოში შეგორებულ ბურთთან მიასწრო და ვითარება განმუხტა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ოლ ბლექსმა" ისევ დააბნია ინგლისი და ორი ლელოთი ანგარიში 35:3-მდეც გაზარდა: ჯერ იყო და ლითლმა მერთენსის მიერ წინ გაგდებული ბურთი აიღო და კრონფელდის მეშველობით მესამე ლელო გაატანინა ლომუს, მერე კი „ოლ ბლექსმა" შერკინებიდან კარგად ცნობილი მოტივი გაიხსენა: ბრუქმა და ბეშოფმა ბურთი ვილსონს ჩაუტენეს, ამან შიგნით დაუბრუნა ოზბორნს, ამან კი — ბეშოფს.

ინგლისს რაღა დარჩენოდა და თავით გადავარდა შეტევაში. მორისი მარჯვედ იყენებდა ზანგ უბოგუს და ახმახ ქლარქს. ამან 57-ე წუთზე ხაზამდეც კი მიაღწია, მაგრამ ძელებთან შებოჭეს. მერე ბრიტები მიეძალნენ ზელანდიელებს და ახლოდან მეოთხე შეტევით მაინც გაუტანეს პირველი ლელო, რასაც მოედნიდან ზინზანის გაყვანა და ზელანდიის დიდი კონტრიერიში, მერე კი ქარლინგის ეფექტური ლელო მოჰყვა 15:35.

ბეშოფმა უმალ აართვა მეტოქეს ბურთი და ლომუმაც მეოთხედ აჭამა სირცხვილი ინგლისს, რაც ამ ქვეყნისთვის აქამდე ვერავის ექნა, ამის გამო ყოფილა, ყველა ინგლისურ გაზეთს ორშაბათს ზორბა ზღვისრეთელი რომ გამოეჭიმა პირველ გვერდზე და **LOMURDER** წაეწერა, აქაოდა ლომუმ მოგვკლაო!

დარჩენილ დროში ბურთაობა გაგრძელდა და ბანსის იერიშის შემდეგ მერთენსმა არეკნი შეაგდო, ინგლისმა კი კიდევ ორი ლელო მიითვალა. რორი ანდერვუდს სამ მსოფლიო თასზე 11 ლელო დაუგროვდა და ყველას გაასწრო, მერთენსმა კი მე-100 ქულა მეხუთე ტესტში მოიმკო, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. წინა რეკორდსმენი დიდი ავსტრალიელი მაიქლ ლაინაფი ყოფილა, ვისაც მეექვსე ტესტში გადაულახავს 100-ქულიანი ზღვარი.

უჩა დავითაშვილი



ენდრიუ მერთენსმა ხუთ ტესტში 100 ქულის დაგროვება მოასწრო

**საქართველოს პირველობა**

**პირველი ჯგუფი**

14.VI. ქუთაისი

**აიეტი 3 (3) — თბილისი 42 (15)**

მსაჯი პ. ნარიმანაშვილი
აიეტი — ს: 13 ბეს. ხამაშურიძე
თბილისი — 7ლ: 11 ქავთარაშვილი-4, 15 იოვაძე-2, 10 ძნელაძე; 2გ და ა: იოვაძე

აია — აზოტი, აზოტი არ გამოცხადდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 7 | 6 | 1 | 0 | 240:57 | 35-5 | 13 |
| გუმარი | 6 | 4 | 1 | 1 | 86:58 | 7-3 | 9 |
| თბილისი | 6 | 3 | 2 | 1 | 136:61 | 19-3 | 8 |
| ყოჩები | 6 | 3 | 0 | 3 | 103:126 | 9-13 | 6 |
| აზოტი | 6 | 1 | 0 | 5 | 72:79 | 6-8 | 1 |
| აიეტი-ქსუ | 7 | 0 | 0 | 7 | 40:299 | 4-48 | -1 |

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ.ძაგნიძე | აია | 7 | 12 | 7 | 2 | 86 |
| ტეფნაძე | ყოჩები | 1 | 3 | 13 | 3 | 59 |
| ჩუბინიძე | აია | 8 | - | - | - | 40 |
| ჯიმშელაძე | აზოტი | - | 5 | 9 | - | 37 |
| შ.მოდებაძე | გუმარი | - | 3 | 9 | 1 | 36 |
| ძოწენიძე | აია | 5 | - | - | - | 25 |
| იოვაძე | თბილისი | 3 | 2 | - | 1 | 22 |
| ძნელაძე | თბილისი | 1 | 2 | 3 | 1 | 21 |

მელელოვეები: ჩუბინიძე 8; ნ. ძაგნიძე 7; ძოწენიძე 5; ლ.ბერიშვილი (აზოტი), ბარძიმიშვილი (ყოჩები), ბუგიანიშვილი (გუმარი), ქავთარაშვილი 4-4; ტყაბლაძე (აია), კალანია (თბილისი), ზვ.ლიპარტელიანი (აია), იოვაძე 3-3
მეარეკნეები: ტეფნაძე 3; ნ.ძაგნიძე 2; ძნელაძე, მოდებაძე, იოვაძე — თითო

# სიახლე სპორტის მოყვარულთათვის!

* „აიაქსის» წარმატებათა მთავარი საიდუმლო!
* მადამ მალახოვა დღეში 10 000 დოლარს თმობს?!
* «რეალმა» გვირგვინი დაიბრუნა!
* მეფეთა მეფე უეინ გრეცკი და კარის ინტრიგები...

უცხოური სპორტის

სარბიელი

მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოქართულებული ეს და სხვა საინტერესო რეპორტაჟები და ინტერვიუები ჩვენი გაზეთის დამატება-დაიჯესტში „უცხოური სპორტის სარბიელი", რომლის პირველი ნომერიც ამ დღეებში გამოვა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | 1 | X | 2 | 1ნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეხბურთი** | | | | | | |
| შვეიცარია - გერმანია | 3,0 | 2,5 | 1,8 | | | |
| იტალია - გერმანია | 2,3 | 2,4 | 2,3 | | | |
| მექსიკა - კოლუმბია | 2,0 | 2,5 | 2,5 | 21 ივნისი | | |
| ნიგერია - მექსიკა | 3,2 | 2,8 | 1,6 | 24 ივნისი | | |
| აშშ - კოლუმბია | 2,5 | 2,5 | 2,0 | 25 ივნისი | | |
| დეპორტივო - ვალენსია | 1,6 | 2,8 | 3,2 | 24 ივნისი | | |
| მიონხენგლადბახი - ვოლფსბურგი | 1,15 | 3,5 | 6,0 | 24 ივნისი | | |

კალათბურთი. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი საბერძნეთში

| | 1 | | | | 2 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვაობა ანგარიშში | >30 | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | >30 |
| 21 ივნისი | | | | | | | | |
| რუსეთი — ფინეთი | 2,5 | 2,0 | 2,2 | 3,2 | 8,0 | 20,0 | 40,0 | 80,0 |
| სლოვენია — საფრანგეთი | 10,0 | 5,0 | 2,5 | 1,8 | 1,6 | 2,5 | 5,0 | 10,0 |
| გერმანია — ლიტვა | 12,0 | 4,5 | 2,8 | 1,8 | 1,6 | 2,2 | 3,8 | 8,0 |
| ისრაელი — იტალია | 12,0 | 4,5 | 2,8 | 1,8 | 1,6 | 2,2 | 3,8 | 8,0 |
| საბერძნეთი — იუგოსლავია | 10,0 | 5,0 | 2,0 | 1,5 | 1,8 | 3,0 | 5,0 | 10,0 |
| ესპანეთი — თურქეთი | 4,0 | 2,6 | 1,8 | 2,0 | 3,5 | 6,0 | 12,0 | 25,0 |
| 22 ივნისი | | | | | | | | |
| ხორვატია — სლოვენია | 3,0 | 2,2 | 1,8 | 1,8 | 3,0 | 5,0 | 10,0 | 20,0 |
| საფრანგეთი — რუსეთი | 8,0 | 4,5 | 2,6 | 1,9 | 1,6 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| იტალია — გერმანია | 3,5 | 2,4 | 1,8 | 1,8 | 2,2 | 3,0 | 5,0 | 10,0 |
| ფინეთი — ესპანეთი | 50,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 2,2 | 1,8 | 2,0 | 2,5 |
| ლიტვა — საბერძნეთი | 8,0 | 5,0 | 2,5 | 1,8 | 1,6 | 2,0 | 3,5 | 5,0 |
| შვედეთი — ისრაელი | 50,0 | 20,0 | 8,0 | 4,0 | 2,0 | 1,8 | 2,2 | 2,8 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიილება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 2-8 | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | 0-1 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | 0-2 | | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 3-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | | 3-2 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | 0-4 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | | 5-0 | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | 2-0 | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | 1-4 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | | 0-0 | 1-4 | 0-2 | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | 0-3 |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | | 0-2 | 3-3 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 4-2 | | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | 0-2 | 2-0 | 4-2 | 3-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-3 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 3-1 | 2-0 | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-1 | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | 5-3 | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 0-1 | 2-2 | 2-2 | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | 5-0 | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | | 1-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | 4-1 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 0-2 | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | [illegible] | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | 5-1 | 4-0 | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | 2-1 | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 6-1 |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | 1-1 | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | -3 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | 0-5 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | 4-1 | | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | 3-1 | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 3-0 | 2-0 | | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-2 | | 0-0 | 3-1 | 0-4 | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | 4-1 | | 0-0 | 3-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | 2-2 | 3-1 | 0-0 | 5-3 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | | 3-3 | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | 2-2 | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 3-1 | 2-0 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | | 2-2 | 2-0 | 0-1 | 3-1 | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | 3-1 | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 2-0 | 2-2 | 2-2 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | 1-3 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-3 | | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | 4-2 | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | 3-1 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | 2-1 | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 3-2 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | |

## რაგბის მსოფლიო თასი. ფინალი. 22, 24 ივნისი

### ინგლისი - საფრანგეთი 1,4 7,0 2,0

1910 წლიდან მეტოქეები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს ხუთი ერის პირველობაზე, 1991 წლის მსოფლიო თასზე კი ერთ მეოთხედფინალშიც მოხვდნენ. ჯამური ბალანსი ინგლისის სასარგებლოდაა: 40 მოგება, 7 ფრე, 24 წაგება. საფრანგეთმა ბოლოს შინ, 1988 წელს გაიმარჯვა (10:9). მას მერე ერთთავად ინგლისი იგებს: 11:0 (89, შინ), 26:7 (90, სტუმრად), 21:19 (91), 19:10 (91, მეოთხედფინალში, პარიზში), 31:13 (92), 16:15 (93), 18:14 (94), 31:10 (95). წლევანდელ, 4 თებერვლის მატჩთან შედარებით ინგლისს შეუცვლია მხოლოდ 9 ნომერი (ბრაქენი მორისით), საფრანგეთს — გარემარბი (ბერნასალი ნტამაკით), 9 ნომერი (დაშავებული აკოსებერი), ბურჯი (ბენეზეში არმარით), მეორეხაზელი (ბრუზე მერლით) და 8 ნომერი (დაშავებული ბენეტონი).

### ახალი ზელანდია - სამხრეთი აფრიკა 1,4 7,0 2,0

მეტოქეები 1921 წლიდან მოყოლებული, ასე 5-7 წლიანი ინტერვალებით, ტურნეზე ეწვეოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამ ხნის მანძილზე გამართული 41 ტესტ-მატჩიდან აფრიკამ მოიგო 20, ზელანდიამ 18, სამი თამაში კი ფრედ დასრულდა.

ეს ტურნეები ვერ შეაფერხა მთელს მსოფლიოში გაშლილმა ანტი-რასისტულმა მოძრაობამაც. 1976 წელს მის გამო შავი აფრიკის ქვეყნებმა მონრეალის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს, 1981 წელს ახალ ზელანდიაში მასობრივი არეულობები მოეწყო და კინალამ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1986 წელს კი ზელანდიის ნაკრების მოთამაშეები ჯგუფ-ჯგუფ საიდუმლოდ ჩავიდნენ აფრიკაში, იქ გუნდად გაერთიანდნენ, „ოლ ბლექსის" ნაცვლად „მხედრები" დაირქვეს და ტურნე მაინც გამართეს. ტესტ-სერია მასპინძლებმა 3-1 მოიგეს. ეს თამაშები ზემოთმოყვანილ ბალანსში არ შედის.

სერია სტუმრად მოუგიათ მხოლოდ აფრიკელებს — 2-1 (1937 წელს). ზელანდიამ სტუმრად მოიგო 1992 წლის მხოლო ტესტი — 27:24 (იოპანესბურგში, 15.VIII). იმ დღეს ყადალაახსნილმა „ქურციკებმა" რვაწლიანი იზოლაციის შემდეგ პირველი სანქცირებული ტესტი გამართეს.

შარშან, ივნის — აგვისტოში „ქურციკებმა" ზელანდიაში 14-მატჩიანი ტურნე გამართეს. სამმატჩიანი ტესტ-სერია 2-0 (ერთი ფრე) მოიგო „ოლ ბლექსმა", ვისაც მანამდე შინ 0-2 წაეგო საფრანგეთთან. დანიდინში (9.VII) თამაში 22:14 დამთავრდა, ველინგთონში (23.VII) 14:9, ოქლენდში (6.VIII) კი 18:18. ამ ბოლო თამაშიდან საფინალოდ „ოლ ბლექსმა" შეინარჩუნა მხოლოდ ორი უკანახაზელი (ბანსი და გ.ბემოფი), მაგრამ ერთბაშად 6 მორკინალი. „ქურციკებს" ეყოლებათ 4 უკანახაზელი (ჟუბერი, მულდერი, ვილიამსი, ლერუ) და ოდენ 3 მორკინალი (პინარი, მ. ენდრიუზი და სვორტი). საერთოდ, იმ ტურნეზე „ქურციკებმა" უწესობით გამოიჩინეს თავი, რისთვისაც მწვრთნელი მაკინტოში სასწრაფოდ მოხსნეს.



# ევროპის ვაჟთა XXIX ჩემპიონატი. ათენი, 21 ივნისი – 2 ივლისი, 1995



ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის ყველა თამაში ამ დარბაზში გაიმართება, რომელიც ათენის ოლიმპიური სპორტის კომპლექსში მდებარეობს. სახელი მას ჯერჯერობით არა აქვს, პირობითად კი „ოლიმპიკ სტადიუმს" უწოდებენ. დარბაზი აშენდა 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, რომლის მასპინძლობასაც ათენი ეშურებოდა, მაგრამ ეს უფლება ატლანტას დარჩა. დარბაზის ოფიციალური ნათლობა ჩემპიონატის დღეებში შედგება. მიუხედავად ამისა, „ოლიმპიკ სტადიუმი" საბერძნეთის უმთავრესი საკალათბურთო არენა გახდება და ამ „ტიტულს" ჩამოართმევს პირეოსის „მშვიდობისა და მეგობრობის სტადიონს". ამავე ზაფხულში ახალი დარბაზი უმასპინძლებს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს, ხოლო 1998 წელს – კაცთა მსოფლიო ჩემპიონატს. დარბაზის ტევადობა 20 000 კაცია. მასში მოთავსებულია 6 სავარჯიშო მოედანი, მოთამაშეთა 16 გასახდელი, მსაჯთა 3 გასახდელი, დოპინგ-კონტროლის 8 ოთახი. მის წინ ერთდროულად შეიძლება გაჩერდეს 11 000 ავტომანქანა. ნაგებობის პატრონია ათენის საკალათბურთო კლუბი „პანათინაიკოსი".

## შესარჩევი ტურნირის შედეგები

ნოემბერი, 1993. ნოემბერი, 1994

### „ა" ჯგუფი

ხორვატია – სლოვაკეთი 92:90, 83:60; ბელგია – შვედეთი 56:62, 87:74; ხორვატია – ბელგია 92:59, 92:64; შვედეთი – სლოვაკეთი 91:65, 69:81; შვედეთი – ხორვატია 94:71, 65:88; სლოვაკეთი – ბელგია 73:71, 78:85.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 518-431 | 11 |
| შვედეთი | 6 | 3 | 3 | 455-448 | 9 |
| ბელგია | 6 | 2 | 4 | 421-471 | 8 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 4 | 447-491 | 8 |

### „ბ" ჯგუფი

ლიტვა – ესტონეთი 97:74, 67:65; ლატვია – სლოვენია 78:100, 72:103; სლოვენია – ლიტვა 85:81, 85:88; ესტონეთი – ლატვია 96:88, 101:98; ლიტვა – ლატვია 106:63, 94:91; სლოვენია – ესტონეთი 105:72, 84:71.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 6 | 5 | 1 | 563-463 | 11 |
| ლიტვა | 6 | 5 | 1 | 535-465 | 11 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 4 | 479-539 | 8 |
| ლატვია | 6 | 0 | 6 | 493-603 | 6 |

### „გ" ჯგუფი

ფინეთი – რუსეთი 98:96, 89:129; ბოსნია – უკრაინა 87:83, 78:70; უკრაინა – ფინეთი 101:111, 92:97; რუსეთი – ბოსნია 97:77, 94:86; ფინეთი – ბოსნია 75:73, 81:97; უკრაინა – რუსეთი 71:81, 0:20 (არ გამოცხადდა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 517-421 | 11 |
| ფინეთი | 6 | 4 | 2 | 551-588 | 10 |
| ბოსნია | 6 | 3 | 3 | 498-500 | 9 |
| უკრაინა | 6 | 0 | 6 | 417-474 | 5 |

უკრაინას დაკლებული აქვს 1 ქულა

### „დ" ჯგუფი

ესპანეთი – ჩეხეთი 107:67, 80:78; თურქეთი – ისრაელი 81:87, 71:83; ისრაელი – ჩეხეთი 106:86, 100:88; ესპანეთი – თურქეთი 74:65, 89:85; ჩეხეთი – თურქეთი 96:80, 71:92; ისრაელი – ესპანეთი 69:79, 83:78.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 507-447 | 11 |
| ისრაელი | 6 | 5 | 1 | 528-483 | 11 |
| თურქეთი | 6 | 1 | 5 | 474-500 | 7 |
| ჩეხეთი | 6 | 1 | 5 | 486-565 | 7 |

### „ე" ჯგუფი

უნგრეთი – საფრანგეთი 67:68, 61:89; იტალია – ბულგარეთი 92:58, 70:65; საფრანგეთი – იტალია 78:77, 77:74; ბულგარეთი – უნგრეთი 78:65, 84:82; უნგრეთი – იტალია 70:90, 71:81; ბულგარეთი – საფრანგეთი 68:65, 71:97.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 5 | 1 | 472-408 | 11 |
| იტალია | 6 | 4 | 2 | 484-418 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 3 | 422-469 | 9 |
| უნგრეთი | 6 | 0 | 6 | 405-490 | 6 |

ჯგუფების ორ-ორი გამარჯვებული ჩემპიონ გერმანიასთან და მასპინძელ საბერძნეთთან ერთად ფინალურ ეტაპზე მოხვდა. შარშან კი გაერომ სანქციები მოუხსნა იუგოსლავიას და ფიბამაც ამათ შანსი მისცა: შესარჩევ ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულებს სოფიაში შეაჯიბრა. ხუთგუნდიანი ტურნირის (ბელგიამ უარი განაცხადა) ორი გამარჯვებული, იუგოსლავია და თურქეთი 12 ფინალისტს შეუერთდა.

## ფინალური ტურნირის განრიგი

დრო თბილისურია

| | | |
|---|---|---|
| **21 ივნისი, ოთხშაბათი** | | |
| „ბ" | რუსეთი – ფინეთი | 11.30 |
| „ბ" | სლოვენია – საფრანგეთი | 13.30 |
| „ა" | გერმანია – ლიტვა | 15.30 |
| „ა" | ისრაელი – იტალია | 19.30 |
| „ა" | საბერძნეთი – იუგოსლავია | 22.00 |
| „ბ" | ესპანეთი – თურქეთი | 24.00 |
| **22 ივნისი, ხუთშაბათი** | | |
| „ბ" | ხორვატია – სლოვენია | 11.30 |
| „ბ" | საფრანგეთი – რუსეთი | 13.30 |
| „ა" | იტალია – გერმანია | 15.30 |
| „ბ" | ფინეთი – ესპანეთი | 20.00 |
| „ა" | ლიტვა – საბერძნეთი | 22.00 |
| „ა" | შვედეთი – ისრაელი | 24.00 |
| **23 ივნისი, პარასკევი** | | |
| „ბ" | თურქეთი – ფინეთი | 11.30 |
| „ა" | იუგოსლავია – ლიტვა | 13.30 |
| „ა" | გერმანია – შვედეთი | 15.30 |
| „ბ" | ესპანეთი – საფრანგეთი | 20.00 |
| „ა" | საბერძნეთი – იტალია | 22.00 |
| „ბ" | რუსეთი – ხორვატია | 24.00 |
| **24 ივნისი, შაბათი** | | |
| „ბ" | საფრანგეთი – თურქეთი | 11.30 |
| „ა" | იტალია – იუგოსლავია | 13.30 |
| „ა" | ისრაელი – გერმანია | 15.30 |
| „ბ" | სლოვენია – რუსეთი | 20.00 |
| „ბ" | ხორვატია – ესპანეთი | 22.00 |
| „ა" | შვედეთი – საბერძნეთი | 24.00 |
| **26 ივნისი, ორშაბათი** | | |
| „ბ" | თურქეთი – ხორვატია | 11.30 |
| „ბ" | ფინეთი – საფრანგეთი | 13.30 |
| „ბ" | ესპანეთი – სლოვენია | 15.30 |
| „ა" | იუგოსლავია – შვედეთი | 20.00 |
| „ა" | საბერძნეთი – ისრაელი | 22.00 |
| „ა" | ლიტვა – იტალია | 24.00 |
| **27 ივნისი, სამშაბათი** | | |
| „ბ" | სლოვენია – თურქეთი | 11.30 |
| „ბ" | ხორვატია – ფინეთი | 13.30 |
| „ა" | ისრაელი – იუგოსლავია | 15.30 |
| „ა" | შვედეთი – ლიტვა | 20.00 |
| „ბ" | რუსეთი – ესპანეთი | 22.00 |
| „ა" | გერმანია – საბერძნეთი | 24.00 |
| **28 ივნისი, ოთხშაბათი** | | |
| „ბ" | ფინეთი – სლოვენია | 11.30 |
| „ა" | იტალია – შვედეთი | 13.30 |
| „ა" | იუგოსლავია – გერმანია | 15.30 |
| „ბ" | თურქეთი – რუსეთი | 20.00 |
| „ა" | ლიტვა – ისრაელი | 22.00 |
| „ბ" | საფრანგეთი – ხორვატია | 24.00 |
| **მეოთხედფინალი. 30 ივნისი, პარასკევი** | | |
| მატჩი 1: | ა1 – ბ4 | 18.00 |
| მატჩი 2: | ბ1 – ა4 | 20.00 |
| მატჩი 3: | ა2 – ბ3 | 22.00 |
| მატჩი 4: | ბ2 – ა3 | 24.00 |
| **ნახევარფინალი. 1 ივლისი, შაბათი** | | |
| მატჩი 5: | წაგ.1 – წაგ.4 | 18.00 |
| მატჩი 6: | წაგ.2 – წაგ.3 | 20.00 |
| მატჩი 7: | მოგ.1 – მოგ.4 | 22.00 |
| მატჩი 8: | მოგ.2 – მოგ.3 | 24.00 |
| **ფინალი. 2 ივლისი, კვირა** | | |
| 7-8 ადგილები: | წაგ.5 – წაგ.6 | 18.00 |
| 5-6 ადგილები: | მოგ.5 – მოგ.6 | 20.00 |
| 3-4 ადგილები: | წაგ.7 – წაგ.8 | 22.00 |
| 1-2 ადგილები: | მოგ.7 – მოგ.8 | 24.00 |

| „ა" ჯგუფი | „ბ" ჯგუფი |
|---|---|
| გერმანია | ესპანეთი |
| ისრაელი | თურქეთი |
| იტალია | რუსეთი |
| იუგოსლავია | საფრანგეთი |
| ლიტვა | სლოვენია |
| საბერძნეთი | ფინეთი |
| შვედეთი | ხორვატია |



ჩემპიონატს მოემსახურება 16 მსაჯი – 14 ევროპიდან და 2 ამერიკის კონტინენტიდან: თოლივერი (აშშ), ფიგეროა (პუერტო-რიკო), რიჩარდსონი (დიდი ბრიტანეთი), ზიჩი (პოლონეთი), გეორგი (გერმანია), გრიგორიევი (რუსეთი), რადიჩი (ხორვატია), სანჩისი (ესპანეთი), კაცარო (იტალია), მელაბუ (საფრანგეთი), კლაარი (შვედეთი), ვიროვნიკი (ისრაელი), რემსი (სლოვენია), ბრაზაუსკასი (ლიტვა), იუგენბრადი (ფინეთი), პიცილკასი (საბერძნეთი).

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატების პრიზიორები

| | ადგილი | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|
| 1935 | ჟენევა | ლატვია | ესპანეთი | ჩეხოსლოვაკია | შვეიცარია |
| 1937 | რიგა | ლიტვა | იტალია | საფრანგეთი | პოლონეთი |
| 1939 | კაუნასი | ლიტვა | ლატვია | პოლონეთი | საფრანგეთი |
| 1946 | ჟენევა | ჩეხოსლოვაკია | იტალია | უნგრეთი | საფრანგეთი |
| 1947 | პრაღა | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | ეგვიპტე | ბელგია |
| 1949 | ქაირო | ეგვიპტე | საფრანგეთი | საბერძნეთი | თურქეთი |
| 1951 | პარიზი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი | ბულგარეთი |
| 1953 | მოსკოვი | სსრკ | უნგრეთი | საფრანგეთი | ჩეხოსლოვაკია |
| 1955 | ბუდაპეშტი | უნგრეთი | ჩეხოსლოვაკია | სსრკ | ბულგარეთი |
| 1957 | სოფია | სსრკ | ბულგარეთი | ჩეხოსლოვაკია | უნგრეთი |
| 1959 | სტამბოლი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | საფრანგეთი | უნგრეთი |
| 1961 | ბელგრადი | სსრკ | იუგოსლავია | ბულგარეთი | საფრანგეთი |
| 1963 | ვროცლავი | სსრკ | პოლონეთი | იუგოსლავია | უნგრეთი |
| 1965 | მოსკოვი | სსრკ | იუგოსლავია | პოლონეთი | იტალია |
| 1967 | ჰელსინკი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | პოლონეთი | ბულგარეთი |
| 1969 | ნეაპოლი | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია | პოლონეთი |
| 1971 | ესენი | სსრკ | იუგოსლავია | იტალია | პოლონეთი |
| 1973 | ბარსელონა | იუგოსლავია | ესპანეთი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია |
| 1975 | ბელგრადი | იუგოსლავია | სსრკ | იტალია | ესპანეთი |
| 1977 | ლიეჟი | იუგოსლავია | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | იტალია |
| 1979 | ტურინი | სსრკ | ისრაელი | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია |
| 1981 | პრაღა | სსრკ | იუგოსლავია | ჩეხოსლოვაკია | ესპანეთი |
| 1983 | პარიზი | იტალია | ესპანეთი | სსრკ | ჰოლანდია |
| 1985 | დას. ბერლინი | სსრკ | ჩეხოსლოვაკია | იტალია | ესპანეთი |
| 1987 | ათენი | საბერძნეთი | სსრკ | იუგოსლავია | იტალია |
| 1989 | ზაგრები | იუგოსლავია | საბერძნეთი | სსრკ | იტალია |
| 1991 | რომი | იუგოსლავია | იტალია | ესპანეთი | საფრანგეთი |
| 1993 | მიუნხენი | გერმანია | რუსეთი | ხორვატია | საბერძნეთი |
| 1995 | ათენი | | | | |



ევროპის 1993 წლის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები

## ქართველები ევროპის ჩემპიონატებზე

| | |
|---|---|
| ოთარ ქორქია: | I (1947), I (1951), I (1953), III (1955) |
| ნოდარ ჯორჯიკია: | I (1947) |
| გურამ მინაშვილი: | I (1957), I (1959), I (1963) |
| ვლადიმერ უგრეხელიძე: | I (1961) |
| ზურაბ საკანდელიძე: | I (1965), I (1967), I (1969), I (1971), III (1973) |
| ამირან სხიერელი: | I (1965) |
| სერგეი კოვალენკო: | I (1969) |
| მიხეილ ქორქია: | I (1971), II (1975), II (1977) |
| ნიკოლოზ დერიუგინი: | I (1981) |

## კალათბურთი

ევროპის ქალთა ჩემპიონატი ჩეხეთში. 8-18 ივნისი

„ა" ჯგუფი

რუსეთი — ჩეხეთი 75:72, იტალია — ლიტვა 60:55, საფრანგეთი — გერმანია 69-65

იტალია — იუგოსლავია 63:46, რუსეთი — ლიტვა 76:67, ჩეხეთი — საფრანგეთი 79-74

რუსეთი — იუგოსლავია 76:62, ლიტვა — საფრანგეთი 70:72, ჩეხეთი — გერმანია 72:69

იტალია — რუსეთი 59:57, ლიტვა — გერმანია 80:71, იუგოსლავია — საფრანგეთი 74:63

იტალია — საფრანგეთი 64:61, ჩეხეთი — ლიტვა 78:65, იუგოსლავია — გერმანია 58:54

იტალია — გერმანია 65:56, რუსეთი — საფრანგეთი 78:55, ჩეხეთი — იუგოსლავია 67:62

იტალია — ჩეხეთი 63:54,ლიტვა — იუგოსლავია 59:51, რუსეთი — გერმანია 97:72

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 6 | 0 | 374-329 | 12 |
| რუსეთი | 6 | 5 | 1 | 459-387 | 11 |
| ჩეხეთი | 6 | 4 | 2 | 422-408 | 10 |
| ლიტვა | 6 | 2 | 4 | 396-408 | 8 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 4 | 353-382 | 8 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 394-430 | 8 |
| გერმანია | 6 | 0 | 6 | 387-441 | 6 |

„ბ" ჯგუფი

უკრაინა — ხორვატია 68:69, ესპანეთი (ევროპის ჩემპიონი) — რუმინეთი 97:68, სლოვაკეთი — მოლდოვა 74:70

უკრაინა — მოლდოვა 68:61, ხორვატია — ესპანეთი 73:70, სლოვაკეთი — უნგრეთი 60:53

უკრაინა — უნგრეთი 77:55, ხორვატია — რუმინეთი 68:57, მოლდოვა — ესპანეთი 59:101

უკრაინა — სლოვაკეთი 61:59, ესპანეთი — უნგრეთი 105:108, მოლდოვა — რუმინეთი 63:59

ხორვატია — მოლდოვა 76:78, სლოვაკეთი — ესპანეთი 81:56, რუმინეთი — უნგრეთი 67:59

უკრაინა — ესპანეთი 73:54, სლოვაკეთი — რუმინეთი 81:56, ხორვატია — უნგრეთი 75:70

მოლდოვა — უნგრეთი 79:73, სლოვაკეთი — ხორვატია 71:67, უკრაინა — რუმინეთი 71:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 5 | 1 | 416-359 | 11 |
| სლოვაკეთი | 6 | 5 | 1 | 417-373 | 11 |
| ხორვატია | 6 | 4 | 2 | 428-414 | 10 |
| მოლდოვა | 6 | 3 | 3 | 410-451 | 9 |
| ესპანეთი | 6 | 2 | 4 | 493-453 | 8 |
| რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 368-439 | 7 |
| უნგრეთი | 6 | 1 | 5 | 418-461 | 7 |

მეოთხედფინალი

იტალია — მოლდოვა 74:43 (42:30), უკრაინა — ლიტვა 76:72 (40:34), რუსეთი — ხორვატია 81:72 (43:42), სლოვაკეთი — ჩეხეთი 85:65 (38:29)

ნახევარფინალი

სლოვაკეთი — იტალია 46:65, უკრაინა — რუსეთი 69:64

ფინალი

1-2 ადგილი. უკრაინა — იტალია 77:66
3-4 ადგილი. რუსეთი — სლოვაკეთი 67:50
5-6 ადგილი. მოლდოვა — ჩეხეთი 78:76
7-8 ადგილი. ლიტვა — ხორვატია 91:69

## რბენის დღე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით — სპორტი ყველასათვის — კვირას 25 ივნისს თბილისში ტარდება ტრადიციული „ოლიმპიური რბენის დღე". ორგანიზატორები არიან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, „კოკა-კოლა-კავკასიონი" და მძლეოსნობის ფედერაცია.

ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც წამროადგენს შესაბამის სამედიცინო სერტიფიკატს.

სტარტი დილის 11 სთ-ზე მიეცემა სპორტის აკადემიის წინ ვაკეში, ფინიში — თავისუფლების მოედანზე. ბავშვები 12 წლამდე, ოჯახები და ინვალიდები სტარტსაიღებენ ზუსტად იმავე დროს რუსთაველის გამზირზე, რუსთაველის ძეგლთან.

სტარტზე გამოსული მონაწილე მიიღებს „კოკა-კოლას" ემბლემიან მაისურს. დაწესებულია ორი მთავარი პრიზი რბენაში გამარჯვებულთათვის. (ქალი და მამაკაცი). სპეციალური პრიზებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდებიან საუკეთესო შედეგების მქონე 10 ქალი და 10 მამაკაცი, 3 ოჯახი (შემდგარი არანაკლებ 3 სულისაგან — დედა, მამა, შვილი...), ყველა ინვალიდი, 6 ბავშვი (3 გოგო, 3 ვაჟი), 50 წელს გადაცილებული 3 ქალი და 3 მამაკაცი.

გარბენის სამანდატო კომისია იმუშავებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის 65, ტელ: 95 36 37, 95 20 79) 21 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით დილის 10-დან 16 საათამდე.

გარბენები მოეწყობა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, თელავში, ბორჯომში.



# მოთამაშე-ექიმის გოლები



საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი

ისე მოხდა, რომ ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ბოლო, მეექვსე წრემ პრაქტიკული ინტერესი დაკარგა — ჩემპიონიც უკვე გარკვეული იყო და მეორე პრიზიორიც. მხოლოდ „მამულთან" მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შემორჩა „ამირანს" უმცირესი შანსი. საერთმანეთოდ ამ პრინციპული შეხვედრისთვის „მამულმა", როგორც იქნა, თავი მოუყარა შვიდ მოთამაშეს და შეტევის ლიდერების ელიზბარ არსენაშვილის (გაიტანა 9 გოლი) და კახა ღლონტის (13) შედეგიანობის ხარჯზე სასურველ გამარჯვებასაც მიაღწია — ბრინჯაოს მედლები გაინაღდა. არადა, ბოლო ხანს „მამულს" ძალზე უჭირს — სულ 7-8 მოთამაშეღა შემორჩა და მათგან ორიც რომ მოისაკლისოს, გუნდი მოედანზე ვერ გამოვა. გაჭირვების გამო აკი მეორე მეკარე დაჩი ჯაფარიძე შეტევაში გაამწესეს, ხოლო ფოთის „ოქროს ვერძთან" შეხვედრაში, შვიდნი რომ ყოფილიყვნენ, „მამულის" ექიმს, 31 წლის მერაბ მაისურაძეს მოუწია თამაშმა. გასაკვირად, ყოფილმა მძლეოსანმა, ვისაც ხელბურთთან მხოლოდ სამედიცინო კავშირი აქვს, არათუ აურია თამაში, არამედ მარცხენა ფრთიდან რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტია მეტოქის კარს და სამი გოლის გატანაც მოახერხა.

„მამულის" და არა მარტო მისი გასაჭირი კი მეტად საგანგაშოა — გუნდს ხომ ორიოდ თვეში ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მოუწევს ასპარეზობა.

ამმხრივ მართლაც რომ თავი ქუდში აქვს ჩვენს უცვლელ ჩემპიონს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს, რომელმაც მიმდინარე პირველობაში გასაკვირ შედეგს (27 მატჩიდან ყველა მოიგო) მიაღწია და ეს მაშინ, როცა ხუთივე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს წლეულს მძაფრ კონკურენციას უწევდა სამტრედიის „მიმი", რომელიც შემადგენლობით თითქმის არაფრით ჩამოუვარდება სტუ-ს, თამაშის ორგანიზებითა და საწვრთნო პროცესისადმი დამოკიდებულებით კი აშკარად ჩამორჩება. ტექნიკოსთა შეკრული მეგობრული კოლექტივი, სწორედ რომ სამაგალითოა ყველასთვის. კლუბი საკუთარი სახსრებით ინახავს თავს, რის გამოც საკმაოდ უჭირს და უცხოეთის ბევრ ტურნირზეც ამბობს უარს.

აუცილებლად უნდა ითქვას იმაზეც, რომ „სტუ-მართვეს" ქალთა გუნდიც საქართველოს უცვლელი ჩემპიონია. ორივე გუნდს დაუხანებლად ესაჭიროება მხარში ამოდგომა, წინაალმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო სარბიელზე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მართალია, ქალთა გუნდს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან შეფები — თბილისის მერია და განათლების სამმართველო (უფროსი გია ალიბეგაშვილი), მაგრამ მხოლოდ მათი მატერიალური თანადგომა არაა საკმარისი შეკრებებისა თუ უცხოეთში საასპარეზოდ საჭირო დიდი ხარჯების დასაფარად.

გია ახალაძე

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. მეექვსე წრე

15 ივნისი: სტუ — „მართვე" 29:21 (12:9), „მიმი" (სამტრედია) — „მამული" 29:28 (17:17), „ამირანი" — „ოქროს ვერძი" (ფოთი) 36:33 (20:16)

16 ივნისი: „ამირანი" — „მართვე" 29:25 (13:13), „მამული" — „ოქროს ვერძი" 43:41 (25:21), სტუ — „მიმი" 39:34 (20:17)

17 ივნისი: „მიმი" — „მართვე" 30:14 (16:6), „მამული" — „ამირანი" 35:31 (19:18), სტუ — „ოქროს ვერძი" 10:0 (არ გამოცხადდა)

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 27 | 0 | 0 | 847:595 | 54 |
| მიმი | 20 | 1 | 6 | 841:684 | 41 |
| მამული | 13 | 1 | 12 | 790:827 | 27 |
| ამირანი | 11 | 0 | 15 | 756:792 | 22 |
| ოქროს ვერძი | 4 | 1 | 18 | 658:750 | 9 |
| მართვე | 1 | 1 | 25 | 635:879 | 3 |

## ნელი ბურთები არ მოსწონთ

შაბათს თითქმის მთელს დასავლეთ ევროპაში ისე გაწვიმდა, რომ უიმბლდონისთვის მოვარჯიშე ჩოგბურთელებს ერთიანად აერიათ გეგმები: ვაჟთა ორივე ტურნირზე — ჰოლანდიის ქალაქ როზმალენშიცა და ლონდონის „ქვინზ კლაბშიც" ნახევარფინალები კვირას დილისთვის გადაიდო. ლონდონში გაიმარჯვა პიტ სამპრასმა (აშშ), ვინაც ერთობ უღიმღამოდ, 77 წუთში 7:6, 7:6 დაამარცხა ფრანგი გი ფორჟე. მანამდე ფორჟემ გზიდან ჩამოიცილაშარშანდელი ჩემპიონი ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 6:4 ხორვატი გორან ივანიშევიჩი 6:3, 7:6 და ბორის ბეკერი (გერმანია) 4:6, 6:3, 6:4. ტურნირი ახლებური, წნევადაკლებლი ბურთებით გაიმართა. ისინი ჩვეულებრივზე 10 პროცენტით ნელა დაფრინავდნენ, მაგრამ მოწოდების მოგერიება მაინც ძველებურად ჭირდა. ასე მაგალითად, ივანიშევიჩმა ფორჟესთან წაგებულ მეთოხედფინალში 17 ეისი გააზერხა, მაგრამ ბურთები მაინც გააკრიტიკა.

ამ ეტაპზე ბეკერმა 6:4, 6:1 აჯობა ჯეისონ სტოლტენბერგს (ავსტრალია), სამპრასმა — ნორჩ ავსტრალიელ სთოლის 6:2, 6:3, გელნერმა (გერმანია) — დერიკ როსტანიოს (აშშ) 7:5, 6:4. სამპრასმა ნახევარფინალში 21 მოწოდება პირდაპირ კი ჩაუგდო გელნერს, მაგრამ თავად სამ მატჩ-პოინტს გადაურჩა და მესამე, გადამწყვეტი ხელის თაი-ბრეიქში 13:11 გაიმარჯვა.

როზმალენის შეჯიბრი მოიგო სლოვაკმა კარლ კუჩერამ. მან ფინალში 7:6, 7:6 დაამარცხა ანდრეს იარიდი (შვედეთი).

მიხო ნინუა

## კუბელ ლტოლვილს ოდენ გინება ეხერხა

პროფესიული კრივის მმართველი მეოთხე, უახლესი გაერთიანების — ორგანიზაციის (ვბო) ვერსიით მძიმეწონოსანთა ბოლო შერკინებას წინ ტრადიციული სიტყვიერი სპარინგი უძღოდა. ჩემპიონის, ამერიკელი რიდიქ ბოუს მენეჯერმა ნიუმენმა მეტოქეს დაქირავებული მკვლელი უწოდა, ამ მეტოქემ — კუბელმა ემიგრანტმა ხოსე-ლუის გონზალესმა კი ინგლისურად მხოლოდ გინება იცოდა და მეტოქე ბანაკსაც ისეთი სიტყვები დააფრქვია, რომ მედიის წარმომადგენლებმა ვერ გაიმეორეს.

ორგანიზატორთა მცდელობას უქმად არ ჩაუვლია: ბრძოლამდე მოხერხდა მოკრივეთა ურთიერთის გარიდება. აწონვის შედეგად ბოუს 6-გირვანქიანი უპირატესობა აღმოაჩნდა; სამაგიეროდ, ექს-კუბელი 8 სანტიმეტრით მაღალი იყო.

გონზალესი ყოჩაღად შევიდა რინგზე თუ ჩხუბიც მაგრად დაიწყო, მაგრამ ბოუსგან პირველსავე რაუნდში ჯერ მარცხენა ჯები, მერე კი ორი აპერკოტი იწვნია. ბოუმ აშკარად მოიგო მეორე და მესამე რაუნდებიც, მეოთხეს ბოლოს კი ისე გახელდა, რომ გონგსაც არ ათხოვა ყური, რის გამოც შეიძლება წაგებაც მისჯოდა. მეხუთე რაუნდი იმავე ყაიდაზე წარიმართა, მეექვსეს 110-ე წამზე კი გონზალესმა ველარ გაუძლო ბოუს მარჯვენა კროსს და ნოკაუტში აღმოჩნდა.

ვალერი ჯიქია

# გეტებორგში უბარელოდ!

ორი წლისა და ზედიზედ 31 გამარჯვების შემდეგ, როგორც იქნა, დამარცხდა ბრიტანელი 110 მეტრზე თარჯმორბენალი კოლინ ჯექსონი. ხუთშაბათს, ნიურენბერგში 13,43-ით მან მესამე ადგილი დაიჭირა. 13,19 წამით გაიმარჯვა გერმანელმა ფლორიან შვანცჰოფმა. 100 მეტრზე გარბენები მოიგეს კანადელმა დონოვან ბეილიმ (10,05) და იამაიკელმა მერლინ ოთიმ (11,10). ბრიტანელ ლინფორდ ქრისთის დედა გარდაეცვალა, რის გამოც შეჯიბრს გამოაკლდა. საკრამენტოში კი აშშ-ის ეროვნული ჩემპიონატი მოეწყო. იგი თან გეტებორგის მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეჯიბრიც იყო. ჩემპიონატზე მოსახვედრად პირველ სამეულში შესვლა იყო. აუცილებელი.

100 მეტრზე რბენაში ეს ვერ მოახერხეს ვერც მსოფლიო რეკორდსმენმა ლეროი ბარელმა და ვერც ლეგენდარულმა კარლ ლუისმა.. ბარელმა მეხუთე ადგილი დაიჭირა, ლუისმა — მეექვსე. 10,23-ით გაიმარჯვა მარშმა.

მაშინ ლუისმა მეორე სახეობაში — სიგრძეზე ხტომაშიც სცადა ბედი და ნაკრებში მოხვდა, თუმცა აქაც წააგო. მის შედეგს (845 სმ) გადაამეტა მაიკ პაუელმა (855).

უიშვიათესი დუბლი გააზერხა მაიკლ ჯონსონმა, ვინაც 400 მეტრზე რბენაც მოიგო და 200 მეტრზეც. ასეთი რამისთვის წინა ჯერზე მავან მაქსი ლონგს მიუღწევია 1899 წელს. ჯონსონი გეტებორგშიცა და ატლანტაშიც ორივე დისტანციაზე გამარჯვებას გეგმავს, რისთვისაც საერთაშორისო ფედერაციისათვის (იააფ), უთხოვნია, იქნებ ეს ორი ნომერი სხვადასხვა დროს დაგეგმოთო. ამის პასუხად იააფ-ის იტალიელ პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს მოწყალება გაუღია და შუალედი 200 მეტრზე რბენის ნახევარფინალსა და 400 მეტრზე რბენის ფინალს შორის 50 წუთით გაუხანგრძლივებინებია.

საკრამენტოშივე შესრულებულა კიდევ ერთი დუბლი: ჯეკი ჯოინერ-ქერსის მოუგია როგორც სიგრძეზე ხტომა, ასევე ქალთა შვიდჭიდი. ეთიოპმა ჰაიმე გაბრესელასემ შაბათს, ლილში ვერ გააუმჯობესა 5000 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდი, 88 ივნისს რომში რომ დაამყარა კენიელმა მოზეს კიპტანუიმ. ეთიოპის შედეგს — 13.04,2 კვალი უთუოდ წვიმამ დააჩნია.

რეკორდსმენმა ქალებმა წინა კვირაში ახალ სახეობებში კიდევ თითოჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები. რუსმა ოლღა კუზენკოვამ ურო 68, 16 მეტრზე გატყორცნა, ჩეხი დანიელა ბორტოვა კი ჭოკით 412 სანტიმეტრზე ახტა.




ლეროი ბარელი

ირაკლი ნინუა

## აქეთური, იქითური

მასპინძლის — ქორი ფეივინის გამარჯვებით დასრულდა წლის მეორე მთავარი საგოლფო შეჯიბრი — აშშ-ის ღია პირველობა, ნიუ-იორკის შინაქოქ-ჰილზის კლუბმა რომ უმასპინძლა 15-18 ივნისს. ძლიერმა ქარმა გოლფის მაესტროებს ისე გაურთულა ასპარეზობა, რომ გამარჯვებულს ოთხგზის ნორმის ტოლი შედეგი აღმოაჩნდა, მეორე და მესამე წრეების შემდგომ ლიდერს — ავსტრალიელ გრეგ ნორმანს ორით უარესი, ამერიკელ თომ ლიმენს კი — პლუს სამი. საუკეთესო ევროპელი — ინგლისელი მარკ როუ გამარჯვებულს 6 დარტყმით ჩამორჩა. ფეივინმა კარიერაში პირველად მოიგო ამ რანგის შეჯიბრი და ჯილდოდ 340 ათასი დოლარიც მიითვალა. შედეგთა შედარებისთვის შევნიშნოთ, რომ იმავე დღეებში შვედმა ქალმა ანიკა სორენსტადმა ავსტრიის ღია პირველობის იქაურ ნორმაზე ერთბაშად 22-ით უკეთესი შედეგით მოიგო, რაც ქალთა პროფტურის აბსოლუტური რეკორდი ყოფილა.

*

ლე-მანის (საფრანგეთი) 24-საათიანი ავტორბოლა მოიგო მაკლარენმა, რომელსაც ფრანგი იანიკ დელმასი, ფინელი იურკი-იარვი ლეჰტო და იაპონელი მასანორი სეკია მართავდნენ. მეორე ადგილზე ამერიკელების — ვოლიკის, ჰელერისა და მარიო ანდრეტის კურაჟ-პორშე დარჩა. მესამე, მეოთხე და მეექვსე ადგილებიც მაკლარენებმა დაიჭირეს. მესამე ადგილზე გასულ ეკიპაჟებში მამა-შვილი ბელები და ვოლისი იყვნენ.

*

შაბათს დაიწყო ჰოკეის ეროვნული ლიგის უმთავრესი ჯილდოს — სტენლის თასის ფინალური სერია. „ნიუ ჯერსი დევილზმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „დეტროიტ რედ ვინგზი".

*

შვეიცარიელმა ალექს ზულემ თავისი ქვეყნის ველოტურის მეხუთე, ჩქაროსნული ეტაპი წუთითა და 16 წამით მოუგო პოლონელ ზენონ იეკულას და ჯამში წუთნახევრით დაწინაურდა.

*

ამერიკელი ვუნდერკინდი ვინუს ვილიამსი, რომელსაც მშობლები ნაადრევად დაფერფვლის შიშით არ უშვებენ დიდი სლემის ტურნირებზე, ქვეყნის ჩოგბურთელთა ნაკრების მწვთრნელმა ბილი-ჯინ კინგმა ჩარიცხა იმ 14 ქალის სიაში, საიდანაც ფედერაციის თასზე საფრანგეთთან ნახევარფინალში უნდა შეარჩიოს გუნდი.

*

ახალ ზელანდიაში მოგზაურმა საფრანგეთის ლიგის რაგბის ნაკრებმა ჯერ 10:40 წააგო ჩრდილოეთ ნავსაყუდელთან, მერე კი პალმერსტონ-ნორსში მეორე ტესტი გაუყაიმა მასპინძელ „კივის" 16:16. ამან ხალხი აღაშფოთა და მის დასაშოშმინებლად პოლიციის ხმობა გახდა საჭირო. სტუმრები ბადრაგს გაუცილებია სტადიონიდან.

*

გამოქვეყნდა კრიკეტის საგაისო მსოფლიო თასის განრიგი. 17 თამაშს ინდოეთი უმასპინძლებს, 16-ს — პაკისტანი, ოთხს — შრი-ლანკა. სამაგიეროდ, ფინალი 17 მარტს ლაჰორში (პაკისტანი) გაიმართება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მექვევლია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 20
ტელეფონი: 39 48 29